

ICNL



სოციალური მეწარმეობის ინიციატივა საქართველოში
Social Enterprise Initiative for Georgia



სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა

ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა

სამაგიდო კვლევის ანგარიში

თბილისი 2020

სოციალური მენარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა

ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა

სამაგიდო კვლევის ანგარიში

ანგარიშის ავტორები:

ეკატერინე დანელია,
მარიამ ლაცაბიძე,
ნინო სამსონიძე.

კვლევა შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დაკვეთით, საქართველოს სოციალურ საწარმოთა ალიანსთან თანამშრომლობით და არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრის(ICNL) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა არ ასახავდეს არასამეწარმეო სამართლის საერთაშორისო ცენტრის(ICNL) შეხედულებებს.



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ©
თბილისი 2020

სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა

ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა

შესავალი

დღესდღეობით სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმოები ევროკავშირის პოლიტიკური დღის წესრიგის ცენტრალური საკითხია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა „ევროპა 2020“ სტრატეგიის ფარგლებში, რომელშიც საუბარია „გონივრულ, მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე“.¹ ამავე სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ სოციალური საწარმოები წარმოადგენს ევროპული სოციალური მოდელის მნიშვნელოვან ელემენტს სოციალური მიზნების მიღწევის გზაზე. უკანასკნელ წლებში ევროკავშირის ქვეყნებში აქტიურად დაიწყო სოციალური ეკონომიკისა და სოციალური მეწარმეობისათვის პოლიტიკური ჩარჩოს განსაზღვრა, რომელიც აისახა წევრი ქვეყნების მთელ რიგ პოლიტიკის დოკუმენტებსა და განვითარების სტრატეგიებში.

ჩვენ კვლევის საგანს წარმოადგენდა ევროპული გამოცდილების შესწავლა სოციალური მეწარმეობის, სოციალური საწარმოებისა და მათთვის ხელსაყრელი გარემოს მახასიათებლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოებისათვის აუცილებელი ეკოსისტემა ოთხი ძირითადი ღერძისგან შედგება. ესენია: თვითორგანიზების შესაძლებლობები; ხილვადობა და აღიარება; რესურსებზე ხელმისაწვდომობა; კვლევა, განათლება და უნარები.

ამ კვლევის ფარგლებში ჩვენ ნაწილობრივ მოვიცავით სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის სამი მთავარი საყრდენი:

1. ხილვადობა და აღიარება - კვლევა მოიცავს ამ მიმართულების ორ მნიშვნელოვან ასპექტს: ა) საკანონმდებლო აღიარება; ბ) პოლიტიკური აღიარება. ამ ორი მიმართულებით დეტალურად შევისწავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება;
2. რესურსებზე ხელმისაწვდომობა - კვლევის ფარგლებში, ძირითადად, მოვიცავით საჯარო ინსტიტუტების მხრიდან შექმნილი წახალისების მექანიზმები, რომლებიც ამ მიმართულების მხოლოდ ერთი კომპონენტია;
3. კვლევა, განათლება და უნარები - კვლევამ, იმავდროულად, ნაწილობრივ მოიცვა რიგ ევროპულ ქვეყნებში არსებული მიდგომები სოციალური მეწარმეობის განათლების დანერგვის შესახებ როგორც სკოლების, ისე უნივერსიტეტებისა და არაფორმალური სწავლების დონეზე.

¹ Europe 2020, A European Strategy for smart, sustainable and inclusive growth, Brussels, 2010.

შინაარსი

სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა	2
შესავალი.....	2
ძირითადი მიგნებები.....	4
ზოგადი მიგნებები	4
საკანონმდებლო აღიარება	4
პოლიტიკური აღიარება	5
ძირითადი დეფინიციები.....	Error! Bookmark not defined.
სოციალური ეკონომიკა	6
სოციალური მეწარმეობა	7
სოციალური საწარმო	8
სოციალური საწარმოების ეკოსისტემა	8
ხილვადობა და აღიარება	9
1. საკანონმდებლო აღიარება	9
1.1 სამართლებრივი რეგულირების მოდელები	9
1.2 რეგისტრაცია	15
1.3 კონტროლის მექანიზმები (ზედამხედველობა და ანგარიშგება).....	16
2. პოლიტიკური აღიარება	17
2.1 ბულგარეთი - სოციალური ეკონომიკის ეროვნული კონცეფცია	18
2.2 ესტონეთი - სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული გეგმა	22
2.3 ლატვია - მდგრადი განვითარების სტრატეგია 2020-2030	26
2.4 პოლონეთი - სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა	30
2.5 ხორვატია - სოციალური მეწარმეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია.....	34
2.6 შოტლანდია - სოციალური მეწარმეობის ეროვნული სტრატეგია	38
3 კერძო აღიარება მარკების, იარლიყებისა და სერტიფიკატების მეშვეობით	46
ბულგარეთი - ბრენდი „სოციალური საწარმოს პროდუქტი“	46
4 თვითაღიარება	46
რესურსებზე ხელმისაწვდომობა	47
1.1 საჯარო გრანტები და სუბსიდიები	47
1.2 საჯარო სექტორი და საჯარო შესყიდვები	48
კვლევა, განათლება და უნარების განვითარება.....	49

1.2 სოციალური საწარმოების შესახებ განათლებისა და ტრენინგების კონსოლიდაცია	49
1.2 უნარების განვითარება	51
ბიბლიოგრაფია	52

ძირითადი მიგნებები

ზოგადი მიგნებები:

- ⇒ კვლევამ აჩვენა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები სოციალური მეწარმეობის განვითარების შესახებ სტრატეგიებისა თუ კანონმდებლობის შექმნისას ევროკავშირის საერთო პოლიტიკით ხელმძღვანელობენ, პრაქტიკული მიდგომები კი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. ზოგიერთი მათგანი სოციალურ ეკონომიკას ფართო მაკროეკონომიკური განვითარების ნაწილად მოიაზრებს და განიხილავს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელს (მაგალითად, შოტლანდია, პოლონეთი), რაც არ გამორიცხავს სოციალური საწარმოების შესახებ ცალკეული პოლიტიკისა თუ სტრატეგიების არსებობას. ხოლო ქვეყნების მეორე ჯგუფისათვის სოციალური ეკონომიკა შედარებით ახალი ფენომენია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს უფრო უკავშირდება (მაგალითად, ბულგარეთი);
- ⇒ კვლევისას გამოიკვეთა, რომ არ არსებობს შეჯერებული და შეთანხმებული დეფინიცია შემდეგი ტერმინებისა: სოციალური ეკონომიკა, სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმო;
- ⇒ სოციალური მეწარმეობა შეიძლება იყოს განსხვავებულად განმარტებული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა არსებობს სამი ძირითადი მახასიათებელი, რომლებიც ქმნის სოციალური მეწარმეობის კონცეფციას, ესენია: მმართველობითი, ეკონომიკური, სოციალური. სამივეს კუმულატიურად არსებობა განაპირობებს სოციალური საწარმოს არსებობას;
- ⇒ სოციალური საწარმოს კრიტერიუმებზე საუბრისას ქვეყნები, ძირითადად, ეყრდნობიან ადგილობრივ კონტექსტს. შესაბამისად, რიგი კრიტერიუმების მახასიათებლები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება;
- ⇒ სოციალური საწარმოებისათვის აუცილებელი ეკოსისტემა ოთხ ძირითად საყრდენზე დგას: ხილვადობა და აღიარება; რესურსებზე ხელმისაწვდომობა; კვლევა, განათლება, უნარები; თვითორგანიზების შესაძლებლობები. სწორედ ამ ოთხი ფაქტორის ურთიერთკავშირი ქმნის ხელსაყრელ გარემოს სოციალური საწარმოების განვითარებისათვის.

საკანონმდებლო აღიარება:

- ⇒ სამართლებრივი რეგულაციების თვალსაზრისით, ევროკავშირის ქვეყნებმა განსხვავებული მიდგომები აირჩიეს. ქვეყნების დიდი ნაწილი (მაგალითად, ესპანეთი, იტალია, სლოვენია, სლოვაკეთი და სხვ.) არეგულირებს სამართლებრივად, ხოლო არიან ქვეყნები, რომლებიც

არასავალდებულო პოლიტიკით განსაზღვრავენ სოციალური მეწარმეობის განვითარებას (მაგ., ხორვატია);

- ⇒ მიდგომები განსხვავდება სამართლებრივი რეგულირების კუთხითაც, კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სოციალური საწარმოს სტატუსი, ხოლო სხვაგან - სამართლებრივი ფორმა, რომელიც მთლიანად სოციალური საწარმოს სპეციფიკასაა მორგებული. თითოეულს აქვს თავისი უპირატესობები;
- ⇒ სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს ზედამხედველობის ორგანოების შერჩევში. ზოგიერთ ქვეყანაში იურიდიული პირის მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია სტატუსის მინიჭებაზეც (ლატვია), ხოლო ზოგიერთში მკვეთრადაა გამიჯნული (სლოვენია). კარგი პრაქტიკაა, როდესაც ზედამხედველობის ორგანოები უზრუნველყოფენ სოციალური მეწარმეობის განვითარებასაც (იტალია).

პოლიტიკური აღიარება:

- ⇒ კვლევამ აჩვენა, რომ ევროპულმა ქვეყნებმა სოციალური ეკონომიკისა და სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური აღიარების განსხვავებული ფორმები აირჩიეს, ესენია: კონცეფცია, სტრატეგია, ეროვნული პროგრამა და სხვ. მაგალითად, ბულგარეთსა (სოციალური ეკონომიკის ეროვნული კონცეფცია) და პოლონეთში (სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა) მსგავსი ტიპის დოკუმენტები, ზოგადად, სოციალური ეკონომიკის განვითარებას ეხება და მოიცავს სოციალური ეკონომიკის ყველა აქტორს, მათ შორის, სოციალურ საწარმოებსაც. შოტლანდიასა და ხორვატიაში კი შექმნილი ეროვნული სტრატეგიები კონკრეტულად სოციალურ საწარმოებზეა მიმართული. გამონაკლისს წარმოადგენს ესტონეთი, სადაც სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური მეწარმეობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ესტონეთისათვის სოციალური მეწარმეობის შესახებ პოლიტიკის არსებულ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული გეგმაა;
- ⇒ კვლევამ ისიც აჩვენა, რომ ძირითადად აღნიშნულ ქვეყნებში (შოტლანდია, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ხორვატია) სხვადასხვა პოლიტიკური დოკუმენტი ქვემოდან ზემოთ მიდგომის საფუძველზე, მონაწილეობითი პრინციპების დაცვით შემუშავდა, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ქვეყანაში არსებული სოციალური საწარმოები და დაინტერესებული მხარეები (ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა, სამინისტროები, ექსპერტთა ჯგუფები), მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ⇒ ესტონეთში, შოტლანდიასა და ლატვიაში დიდი აქცენტი კეთდება განათლებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე. არსებობს ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო უამრავი პროგრამა და კურსი, რომლებიც სოციალური მეწარმეობის შესახებ ცოდნის გადაცემას, მის პოპულარიზაციასა და ცნობიერების ამაღლებას ემსახურება;
- ⇒ ლატვიაში, ბულგარეთსა და პოლონეთში სოციალური საწარმოების განვითარების პროცესში განსაკუთრებულ რგოლს წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლება. მუნიციპალიტეტებს სხვადასხვა ფორმით შეუძლიათ სოციალურ საწარმოებთან

მიმართებით მხარდამჭერი ფუნქციის შეთავსება. პოლონეთში ადგილობრივ მთავრობებს შეუძლიათ ეროვნული პროგრამის შესაბამისი ადგილობრივი სტრატეგიების შემუშავება;

- ⇒ ბულგარეთსა და შოტლანდიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო აღიარების მოდელს, სხვადასხვა მარკის გამოყენებისა თუ სერტიფიცირების სქემებს, რომელთა საშუალებითაც ქვეყნები სოციალური საწარმოების პროდუქტს პოპულარიზაციას უწყევენ;
- ⇒ ესტონეთში, ლატვიასა და ხორვატიაში საჯარო შესყიდვების პოლიტიკა საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სოციალური საწარმოების ხელშეწყობის პროცესში;
- ⇒ შოტლანდიაში, ესტონეთში, პოლონეთსა და ლატვიაში არსებობს სოციალური საწარმოების სხვადასხვა ასოციაცია და ქსელი, რომლებიც ორმხრივ თანამშრომლობას ეფუძნება, განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებსა და ხედვას. შოტლანდიაში მსგავს ასოციაციას კოდექსის სახით თვითრეგულირების მექანიზმიც აქვს. ამ მხრივ, განსხვავებული სიტუაციაა ხორვატიაში, სადაც ნაკლებადაა განვითარებული სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული ქსელები;
- ⇒ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ხორვატიაში ყურადღება გამახვილებულია „სოციალური საწარმო“ სტატუსის გარკვეული დროით ვალიდურობაზე. კერძოდ, სამი წლის განმავლობაში საწარმომ უნდა წარადგინოს წლიური საქმიანობისა და სოციალური გავლენის ანგარიშები. 3-წლიანი პერიოდის დასასრულებისას მან უნდა განაახლოს თავისი სტატუსი.

ძირითადი დეფინიციები

სოციალური ეკონომიკა

სოციალური ეკონომიკის უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს. შესაბამისად, მისი განმარტებისას უფრო მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა არ არის სოციალური ეკონომიკა და რითი განსხვავდება ის სხვა ტიპის ეკონომიკური აქტივობისაგან. ევროპარლამენტის მიერ შემოთავაზებული დეფინიციით, სოციალური ეკონომიკის განსაზღვრებისას უნდა ვიხელოვდეთ იმ სტრუქტურული ელემენტების ერთობლიობით, რაც სოციალური ეკონომიკის აქტორებს განასხვავებს სხვა ტიპის ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მოქმედებენ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე.² ეს ელემენტებია: ა) ინდივიდის უპირატესობა - სოციალური ამოცანა უფრო მაღლა დგას, ვიდრე - კაპიტალი. ინდივიდების გაერთიანება საერთო მიზნისა და საჭიროების გარშემო ქმნის კოლექტიურ შედეგს; ბ) სოციალური და ეკონომიკური ბალანსი - სოციალური ეკონომიკის აქტორები (როგორებიცაა: სოციალური საწარმოები, სოციალური კოოპერატივები, ასოციაციები, ფონდები და სხვ.) საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას სოციალური მიზნებიდან ამოდიან; გ) მდგრადი განვითარება - სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა საბოლოო მიზნად არ მოიაზრებს მოგების მიღებასა და მის განაწილებას მესაკუთრეებს შორის, არამედ საერთო, სოციალური სარგებლის მიღებისათვის იღვწის; დ) დემოკრატიული

² Social Economy, Study for the IMCO Committee, European Parliament, 2015, pg. 25, available at: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/578969/IPOL_STU\(2016\)578969_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/578969/IPOL_STU(2016)578969_EN.pdf)

მმართველობა და თანამფლობელობა - სოციალური ეკონომიკის აქტორები გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობენ დემოკრატიული, გამჭვირვალე და მონაწილეობითი პრინციპებით და აჩენენ ინდივიდუალური და კოლექტიური საკუთრების განცდას.

სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობის ერთიანი დეფინიცია არ არსებობს. ფართო გაგებით, სოციალური საწარმო არის კომერციული ან არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სოციალური სარგებლის მომტან ეკონომიკურ საქმიანობას.³

არასამეწარმეო სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL) თავის კვლევებში განიხილავს სოციალური მეწარმეობის სამ ძირითად კრიტერიუმს, რომლებიც ეყრდნობა ევროკომისიის მიერ შემუშავებულ დეფინიციას.⁴ ესენია: 1) მმართველობითი; 2) ეკონომიკური; 3) სოციალური. ამ სამი კრიტერიუმის კუმულატიურად არსებობა განსაზღვრავს სოციალური მეწარმეობის ძირითად კონცეფციას. თითოეული მათგანი შემდეგნაირადაა განმარტებული:⁵

1. მმართველობითი - სოციალური საწარმო მოხალისეობრივად დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებელად. ამ უკანასკნელში იგულისხმება, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საწარმოს საქმიანობა სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული, იგი უნდა ინარჩუნებდეს დამოუკიდებლობას.

მმართველობითი კრიტერიუმი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის დემოკრატიულობასაც. კერძოდ, ძალაუფლება არ უნდა განაწილდეს წილისა და აქციების მიხედვით, არამედ მმართველობა უნდა განხორცილდეს პრინციპით - „ერთი წევრი, ერთი ხმა“;

2. სოციალური - გულისხმობს გამოკვეთილი სოციალური მიზნების არსებობას, რომლებიც სიკეთის მომტანია პირის ან პირთა ჯგუფისათვის. იგი უნდა მისწრაფოდეს სოციალური მიზნების და არა მოგების მიღებისაკენ; იგი უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი სიკეთის მოტანას და არა კონკრეტული პირის მოგებას;

3. ეკონომიკური - სოციალური საწარმოები ჩართული უნდა იყვნენ ეკონომიკურ საქმიანობაში წარმოების ან სერვისის გაყიდვის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საწარმო შეიძლება აერთიანებდეს მოხალისეებს, ის არ უნდა იდგეს მოხალისეობრივ საწყისებზე და უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი დასაქმებული მაინც, რათა მივიჩნიოთ სოციალურ საწარმოდ.

³ European Center for Not-for-Profit Law: Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, 2015, available at: http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf.

⁴ Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

⁵ Ibid.

სოციალური საწარმო

სოციალური საწარმო სოციალური ეკონომიკის ოპერატორია, რომლის მთავარი მიზანია სოციალური გავლენის შექმნა, ნაცვლად მფლობელებისათვის მოგების უზრუნველყოფისა. ის საქონელს ან მომსახურებას აწვდის სამეწარმეო და ინოვაციური გზით და მოგებას, უპირველეს ყოვლისა, იყენებს სოციალური მიზნების მისაღწევად. ის იმართება გამჭვირვალედ, მაღალი პასუხისმგებლობით, თანამშრომელთა, მომხმარებელთა და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

სოციალური საწარმო არის ბიზნესი:

- რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ან სოციალური მიზნები, ხშირად სოციალური ინოვაციის მაღალი ხარისხით;
- რომელშიც მოგება უმეტესწილად რეინვესტირდება აღნიშნული სოციალური და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში;
- ორგანიზების ფორმა ან მფლობელობის სისტემა ასახავს საწარმოს მისიას, ეფუძნება დემოკრატიულ და თანამონაწილეობით პრინციპებს ან/და ფოკუსირებულია სოციალურ სამართლიანობაზე.⁶


სოციალური საწარმოების ეკოსისტემა

სოციალური საწარმოებისათვის აუცილებელი ეკოსისტემა ოთხ ძირითად საყრდენზე დგას: ხილვადობა და აღიარება; რესურსებზე ხელმისაწვდომობა; კვლევა, განათლება და უნარები; თვითორგანიზების შესაძლებლობები.

სოციალური საწარმოებისა და მისი ეკოსისტემის ევროპული ქვეყნების სინთეზურ ანგარიშში⁷ აღნიშნულია (სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ნათლად ჩანს), რომ სწორედ ამ ოთხი ფაქტორის ურთიერთკავშირი ქმნის ხელსაყრელ გარემოს სოციალური საწარმოების განვითარებისათვის. ეს ანგარიში აერთიანებს ევროპული 29 სახელმწიფოს გამოცდილებას.

⁶ Social Economy in the EU, Social Enterprises, European Commission, available at: https://ec.europa.eu/growth/sectors/social-economy/enterprises_en

⁷ Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020.



ხილვადობა და აღიარება

1. საკანონმდებლო აღიარება

1.1 სამართლებრივი რეგულირების მოდელები

სოციალური მეწარმეობის ეროვნულ კანონმდებლობაში ინტეგრაციის სხვადასხვა მიდგომა არსებობს. ასეთ დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები. საგულისხმოა არსებული საკანონმდებლო გარემოც, რეგულირების პრაქტიკაცა და სექტორის საჭიროებებიც.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის რეგულირების პრაქტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთმა ქვეყანამ მიიღო ცალკე კანონი, რომელიც ითვალისწინებს სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი ფორმის შემოღებას ან განსაზღვრავს სოციალური მეწარმეობის სტატუსის მოპოვების წესებს. იმავდროულად, არსებობს ქვეყნები, რომლებშიც სოციალური მეწარმეობა სამართლებრივად არ რეგულირდება, თუმცა არსებობს დე ფაქტო სოციალური საწარმოები.

აქედან გამომდინარე, სოციალური მეწარმეობის რეგულირების მიდგომები შეგვიძლია, პირობითად, სამ კატეგორიად დავყოთ: 1) სამართლებრივი ფორმა; 2) სამართლებრივი სტატუსი; 3) პოლიტიკის დოკუმენტი.⁸ განვიხილოთ თითოეული:

1.1.1 სამართლებრივი ფორმა

ცალკე სამართლებრივი ფორმის არსებობა გულისხმობს სპეციალური, სხვა იურიდიული პირებისაგან განსხვავებული ორგანიზაციის რეგისტრაციას. როგორც წესი, მასში მოიაზრება იურიდიული პირის არსებობა, რომელიც მთლიანად მორგებულია სოციალური საწარმოს სპეციფიკას. ასეთი მიდგომაა, მაგალითად, **ესპანეთში**, რომლის მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა სოციალური ეკონომიკის განვითარება და კონსტიტუციით აღიარა სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობა.⁹ ამ მიზნით, 2011 წელს ესპანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი სოციალური ეკონომიკის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს.¹⁰ აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით, კოოპერატივი აღარ წარმოადგენს უნივერსალურ სამართლებრივ ფორმას სოციალური მეწარმეობისათვის, არამედ ეს კონცეფცია შეიძლება მოერგოს სხვა იურიდიულ პირებსაც.¹¹ კერძოდ, ესპანეთში არსებობს სოციალური მეწარმეობის სამი ინსტიტუციონალიზებული სამართლებრივი ფორმა, ესენია: სოციალური ინიციატივის კოოპერატივი, დასაქმების უზრუნველყოფის ცენტრი და სამუშაო ინტეგრაციის სოციალური საწარმო.¹²

ჩეხეთში სოციალური მეწარმეობა პოლიტიკურად და სამართლებრივად აღიარებულია, თუმცა იგი ვიწროდ არის განმარტებული და შემოიფარგლება სამუშაო ინტეგრაციით. ჩეხეთში არსებობს სოციალური კოოპერატივის ცალკე სამართლებრივი ფორმა. სოციალური კოოპერატივის დეფინიცია განსაზღვრულია ცალკე კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წელს.¹³ კანონის მიხედვით, სოციალური საწარმო არის „კოოპერატივი, რომელიც ახორციელებს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის, ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ადგილობრივი რესურსების მობილიზების გზით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სამუშაო ადგილების შექმნა, უსახლკარობა, სოციალური სერვისები, ჯანდაცვა, განათლება და მდგრადი განვითარება“.¹⁴

⁸ European Center for Not-for-Profit Law: Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, 2015, available at: http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf.

⁹ LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012, available at:

http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

¹⁰ Ibid.

¹¹ Ibid.

¹² Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

¹³ A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Czech Republic, European Commission.

¹⁴ Ibid.

გარდა ამისა, ჩეხეთის სოციალური საწარმოები:¹⁵

- ✓ ვალდებულნი არიან სოციალური მისია და მოგების განაწილების წესები დააკონკრეტონ წესდებაში;
- ✓ არ აქვთ უფლება, გაასხვისონ ქონება (გარდა სხვა სოციალური საწარმოსათვის გადაცემისა);
- ✓ შეუძლიათ მოგების მაქსიმუმ 33%-ის განაწილება წევრებს შორის;
- ✓ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს დემოკრატიულად, შემდეგი პრინციპით - „ერთი წევრი, ერთი ხმა“.

პოლონეთში კანონი „სოციალური კოოპერატივების“ შესახებ მიიღეს 2006 წელს, თუმცა პოლონეთის კანონმდებლობაში ამ სამართლებრივი ფორმის შემოღებას ბევრად უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი, რასაც მოწმობს 1997 წლის აქტი დასაქმებისა და სოციალური რეაბილიტაციის შესახებ.¹⁶ ცალკე სამართლებრივი ფორმის შემოღება ემსახურებოდა სოციალური საწარმოების ევროპული სტანდარტების გაზიარებას. შესაბამისად, პოლონეთის სოციალურ კოოპერატივებს აქვს შემდეგი მახასიათებლები:¹⁷

- სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გაერთიანება;
- მოგების არასამეწარმეო მიზნებით გამოყენება;
- დემოკრატიული პრინციპებით მართვა;
- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი.

2006 წლის კანონის მიხედვით, სოციალური კოოპერატივის მიზანია ისეთი ჯგუფების ინტეგრაცია, როგორებიც არიან: უსახლკაროები, მენტალური პრობლემების მქონე პირები, ლტოლვილები, ყოფილი პატიმრები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.¹⁸ ჩეხეთის მსგავსად, პოლონეთშიც სოციალური საწარმოს დეფინიცია შემოიფარგლება ვიწრო სამართლებრივი გაგებით და არ სცდება სამუშაო ინტეგრაციის კონცეფციას.

1.1.2 სამართლებრივი სტატუსი

ცალკე სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი სტატუსის არსებობა გულისხმობს, რომ სხვადასხვა იურიდიულ პირს აქვს შესაძლებლობა, მოიპოვოს სოციალური საწარმოს სტატუსი, თუ დააკმაყოფილებს კანონით დადგენილ წინაპირობებს. შეგვიძლია პარალელი გავავლოთ „საქველმოქმედო“ ან „საზოგადოებრივი სარგებლის“ (PBO) სტატუსთან. ამ შემთხვევაშიც ორგანიზაციები ახორციელებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობებს, აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ წინაპირობებს და არიან უფლებამოსილნი, მიიღონ საგადასახადო შეღავათები. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, საქველმოქმედო ორგანიზაციისა და სოციალური საწარმოს სტატუსის თანაარსებობა მოდის კონკურენციაში,

¹⁵ Ibid.

¹⁶ Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

¹⁷ Ibid.

¹⁸ A map of social enterprises and their eco-systems in Europe, Country Report: Poland, European Commission

ქვეყნების გამოცდილებამ მაინც აჩვენა, რომ ერთი მეორის არსებობას არ უშლის ხელს, პირიქით, ისინი ავსებენ ერთმანეთს.¹⁹

ცალკე სოციალური სამართლებრივი სტატუსის შემოღება აირჩიეს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: სლოვენია, რუმინეთი, ლიტვა, სლოვაკეთი და სხვ.

სლოვენია იყო ერთ-ერთი პირველი ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რომელმაც მიიღო სოციალური მეწარმეობის კანონი. კანონის მიღების შემდგომ დამტკიცდა სოციალური მეწარმეობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები.²⁰ კანონის მიღების მიზანი იყო:²¹

- ✓ სოციალური მეწარმეობის დეფინიციის განსაზღვრა;
- ✓ სოციალური მეწარმეობის მიზნებისა და პრინციპების დადგენა;
- ✓ სოციალური მეწარმეობის სტატუსის მოპოვების წესების დადგენა;
- ✓ სოციალური მეწარმეობის სტატუსის შეწყვეტისა და ჩამორთმევის წესების დადგენა;
- ✓ დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობის დარეგულირება (სსო-ების როლი, მუნიციპალიტეტები და სხვა).

სლოვენიაში, სოციალური მეწარმეობის აქტის მიხედვით, „ასოციაციას, ინსტიტუტს, ფონდს, კომპანიას, კოოპერატივს ან სხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც არ არის დაფუძნებული უშუალოდ მოგების მიღების მიზნით, რომელიც არ ანაწილებს აქტივებს, მოგებას ან შემოსავალს, აქვს უფლება, მოიპოვოს სოციალური საწარმოს სტატუსი“.²²

სლოვენის აქტი, თავდაპირველად, ასხვავებდა ორი სახის სტატუსს: „A“, რომელიც ორიენტირებული იყო ბიზნესზე, მინიმუმ 2 დასაქმებული უნდა ჰყოლოდა და მისი შემოსავლის მინიმუმ 50% ყოფილიყო „სოციალური მეწარმეობის აქტივობა“; და „B“ ტიპის, რომელიც ორიენტირებული იყო მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაზე, შესაბამისად, დასაქმებულების ერთი მესამედი მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.²³ თუმცა ამ მიდგომამ არ გაამართლა და გაუქმდა სტატუსის ორ კატეგორიად გამიჯვნა.²⁴

რუმინეთში არსებობს ორი სახის სოციალური საწარმოს სტატუსი. პირველი შეიძლება მოიპოვოს ნებისმიერმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს სოციალური

¹⁹ Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

²⁰ Social Entrepreneurship: Case of Slovenia, Nina Tomažević and Aleksander Aristovnik Ljubljana, October 2018, available at: https://zavod14.si/wp-content/uploads/2018/10/Social-Entrepreneurship_Case-of-Slovenia.pdf

²¹ Ibid.

²² Ibid.

²³ LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012, available at:

http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

²⁴ Social Entrepreneurship Law in Slovenia, Varna, June, 2018, available at:

https://www.easped.eu/sites/default/files/sites/default/files/EVENTS/2018/6-varna_social_entrepreneurship_law_slovenia.pdf

ეკონომიკის შესახებ კანონით დადგენილ პრინციპებს, ხოლო მეორე - იმ იურიდიულმა პირმა, რომლის მიზანია მარგინალიზაციის, დისკრიმინაციის, უმუშევრობის შემცირება და მისი თანამშრომლების მინიმუმ 30%-ს მოწყვლადი ჯგუფები შეადგენს.²⁵

ლიტვაში, ფაქტობრივად, ნებისმიერ კომპანიას, რომელსაც აქვს სოციალური მიზნები (ისევე, როგორც ნებისმიერ არასამეწარმეო ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობასაც), შეუძლია განახორციელოს საქმიანობა, როგორც სოციალურმა საწარმომ. თუმცა, თუ სურს საგადახადო შეღავათების მიღება, მაშინ უნდა მოიპოვოს ე.წ. „WISE“ (სამუშაო ინტეგრაციის სოციალური საწარმო) სტატუსი.²⁶

საინტერესოა **სლოვაკეთის** მაგალითი, სადაც სოციალური მეწარმეობის საკმაოდ ვიწრო დეფინიციაა. სოციალური საწარმოს დეფინიცია დასაქმების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2008 წელს შემოვიდა. იგი განმარტებულია, როგორც იურიდიული პირი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:²⁷

- ✓ თანამშრომლების მინიმუმ 30% არის მოწყვლადი ჯგუფი, რომლებსაც არ აქვთ სამსახური (ასეთები შეიძლება იყვნენ 26 წლამდე *inter alia* ახალგაზრდები, რომლებსაც არ აქვთ სამუშაო გამოცდილება და სლოვაკეთის 50 წელს გადაცილებული მოქალაქეები);
- ✓ ორგანიზაცია ეხმარება სამსახურის მოძიებაში მოწყვლად ჯგუფებს;
- ✓ მოგების 30% რეინვესტირდება საწარმოს საქმიანობაში;
- ✓ სოციალური საწარმო რეესტრშია რეგისტრირებული.

აღსანიშნავია, რომ კანონის ასეთი ვიწრო ფოკუსი კრიტიკის საგანი გახდა დაინტერესებული პირების მხრიდან.²⁸

1.1.3. პოლიტიკის დოკუმენტი

ზოგიერთ ქვეყანაში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი რეგულაციები. თუმცა არსებობს დე ფაქტო სოციალური საწარმოები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, ხოლო მათ განვითარებას სახელმწიფო ხელს უწყობს პოლიტიკის დოკუმენტებით. მაგალითად, ხორვატიაში 2015-2020 წლებში შემუშავდა სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, რომლის მიზანია სოციალური მეწარმეობისათვის სასურველი საარსებო გარემოს შექმნა.²⁹ სტრატეგია მოიცავს სოციალური მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებული

²⁵ Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

²⁶ Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, ECNL, 2015, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2015/10/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

²⁷ Social Enterprises and their Eco-systems: A European Mapping Report, Updated Country Report: Slovakia, 2016, available at: <https://aeidl.eu/docs/bsi/index.php/country/34-ec-se-country-report-sk/file>

²⁸ Ibid.

²⁹ Boosting Social Enterprise Development, Good Practice Compendium, OECD, available at: <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264268500-7-en.pdf?expires=1587906190&id=id&accname=guest&checksum=F947E592C8C34C9FD732F0C84B0D29C1>

გამოწვევებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციასაც.³⁰ პოლიტიკური აღიარების ნაწილში უფრო ვრცლად არის განხილული ხორვატიის მაგალითი.

1.1.4 სამართლებრივი რეგულირების მოდელების შედარებითი მიმოხილვა

სოციალური მეწარმეობის რეგულირების ზემოთ ხსენებულ თითოეულ მოდელს აქვს თავისი უპირატესობები, თუმცა რთულია მათი შეფასება, რადგან მიდგომებს შორის განსხვავება უკავშირდება ქვეყნების სპეციფიკას. არასამეწარმეო სამართლის ევროპული ცენტრი (ECNL) ბოლოდროინდელ კვლევაში ასახელებს სამართლებრივი რეგულირების თითოეული მიდგომის უპირატესობებს:³¹

სამართლებრივი ფორმა	სამართლებრივი სტატუსი
მთლიანად მორგებულია სოციალური მეწარმეობის სპეციფიკას. აქ ისიც იგულისხმება, რომ იგი თავისუფალია სხვადასხვა ბარიერისგან და შეუძლია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, საგადასახადო შეღავათების მიღება და სხვა.	<ul style="list-style-type: none"> ➤ მარტივია მისი მოპოვება დე ფაქტო სოციალური საწარმოებისათვის; ➤ სამართლებრივი ფორმის თავისუფალი არჩევანი აქვს; ➤ სამართლებრივი ფორმის შეცვლასთან დაკავშირებული ბიუროკრატიისა და ადმინისტრაციული ხარჯების თავიდან აცილება შეუძლია; ➤ მარტივია მონიტორინგი და ჩამორთმევა შეუსაბამობის შემთხვევაში.

სამართლებრივი რეგულირების შემოღებისას ორივე მიდგომას აქვს თავისი უპირატესობები.

სამართლებრივი ფორმის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ იგი მთლიანად მოერგება სოციალური მეწარმეობის საქმიანობისა და მახასიათებლების სპეციფიკას. კერძოდ, გათვალისწინებული იქნება სოციალური საწარმოს ყველა მახასიათებელი, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს თავს აარიდებს, საგადასახადო სისტემას უფრო მარტივად მოერგება და სხვა.

სოციალური საწარმოს სტატუსის შემოღებასაც აქვს სხვადასხვა ბენეფიტი. პირველ რიგში, აღსანიშნავია მარტივი ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული პროცედურა. დე ფაქტო სოციალური საწარმოებისათვის ბევრად ხელსაყრელია სტატუსის მოსაპოვებლად მიმართვა, ვიდრე - სამართლებრივი ფორმის შეცვლა. გარდა ამისა, სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ თავად აირჩიონ საქმიანობის შესაფერისი სამართლებრივი ფორმა. აღსანიშნავია კონტროლის მექანიზმებიც, რომლებიც სტატუსის არსებობის შემთხვევაში ბევრად უფრო იოლია. დარღვევის

³⁰ Ibid.

³¹ Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

შემთხვევაში ჩამოართმევენ სტატუსს და არ შეუჩერებენ იურიდიული პირის საქმიანობას, რაც პროცედურულად ბევრად მარტივი და ნაკლებად ბიუროკრატიულია.

მნიშვნელოვანია, დადებითთან ერთად განვიხილოთ ამ მიდგომების უარყოფითი მხარეებიც. სოციალური საწარმოს ცალკე სამართლებრივი ფორმის შემოღება, ერთი შეხედვით, უფრო ხელსაყრელია, თუმცა, რეალურად, არც ისე მარტივია ერთი კონკრეტული ფორმის შექმნა, რომელიც მოერგება სოციალური საწარმოს ყველა აქტივობას. შედეგად მოხდება ის, რომ ორგანიზაციები გააგრძელებენ დე ფაქტო საწარმოებად მუშაობას. ეს გამოცდილება აქვს იტალიას. გარდა ამისა, სოციალური საწარმოს სამართლებრივი ფორმის შემოღება დაკავშირებულია უფრო მაღალი ხარისხის ბიუროკრატიულ პროცედურებთან. კერძოდ, დე ფაქტო საწარმოები იძულებული გახდებიან, გააუქმონ ორგანიზაციები და თავიდან დარეგისტრირდნენ, რაც, თავის მხრივ, ხარჯებთანაცაა დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს კონტროლის მექანიზმები: კერძოდ, შეუსაბამობის შემთხვევაში უფრო მარტივია სტატუსის ჩამორთმევა, ვიდრე - ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერება.

საბოლოოდ, ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკასა და კანონმდებლის არჩევანზე.

1.2 რეგისტრაცია

სოციალური მეწარმეობის მარეგისტრირებელი ორგანოები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით:

სლოვენიაში სოციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებაზე უფლებამოსილია ხელისუფლების რამდენიმე ორგანო: ასოციაციას სოციალური საწარმოს სტატუსს ანიჭებს ადმინისტრაციული ორგანო, კოოპერატივსა და კომპანიებს - სასამართლო, ხოლო ფონდებს - სამინისტროები.³²

იტალიაში სტატუსის მინიჭებაზე პასუხისმგებელია შრომისა და სოციალური დახმარების სამინისტრო, ხოლო იურიდიულ პირებს არეგისტრირებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.³³

ზოგიერთ ქვეყანაში რეგისტრაციისა და მონიტორინგის ორგანო იკვეთება. მაგალითად, **ლატვიაში** ორივე შემთხვევაში პასუხისმგებელი უწყება არის კეთილდღეობის სამინისტრო. თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს სპეციალური კომიტეტები, რომლებიც მონაწილეობენ რეგისტრაციის პროცესში. ასეთია სოციალური მეწარმეობის სპეციალური კომისია, რომელიც მონაწილეობს სოციალური საწარმოს რეგისტრაციაში და რჩევას აძლევს კეთილდღეობის სამინისტროს სტატუსთან შესაბამისობის საკითხებზე. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თავად სამინისტრო. კომისია შედგება 10 წევრისაგან: მათგან 5 ხელისუფლების, ხოლო 5 არასამეწარმეო სექტორის (ასოციაციები და ფონდები) წარმომადგენელია.³⁴

³² Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

³³ Ibid.

³⁴ Ibid.

1.3 კონტროლის მექანიზმები (ზედამხედველობა და ანგარიშგება)

სოციალური საწარმოების საქმიანობა დაკავშირებულია საგადასახადო შეღავათებთან. შეღავათების მიღებასთან ერთად ორგანიზაციას ეკისრება რიგი ვალდებულებები. ამიტომაც მისი საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფოს ზედამხედველობას. სოციალური საწარმოების საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით, ხელისუფლების ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, განახორციელონ მათი საქმიანობის მონიტორინგი ანგარიშგების მოთხოვნების დაწესების გზით. როგორც წესი, დარღვევების შემთხვევაში ორგანიზაციას შეიძლება გაუუქმდეს ან ჩამოერთვას სოციალური საწარმოს სტატუსი.

სოციალური საწარმოების ზედამხედველობის ორგანოები და მათი კომპეტენცია განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

იტალიაში სოციალურმა საწარმომ უნდა წარმოადგინოს ყოველწლიური ანგარიშის ფურცელი (იმის მიხედვით, რა სამართლებრივი ფორმა აქვს) და სოციალური მისიის ანგარიში (სოციალური ბალანსის ფურცელი) შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროში. ეს უკანასკნელი გულისხმობს სოციალური მეწარმეობის მიზნებისათვის განხორციელებულ აქტივობებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ანგარიშგების მოთხოვნები სოციალური საწარმოებისა და PBO-სათვის, რომლებიც არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით არსებობენ, მსგავსია.³⁵ არ არსებობს ერთი კონკრეტული მოთხოვნა, რომელიც განკუთვნილია სოციალური საწარმოებისათვის, არამედ ისინი არიან ანგარიშვალდებულნი იმის მიხედვით, თუ რა სამართლებრივი ფორმით არსებობენ (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო).³⁶

იტალიაში არსებობს მონიტორინგის ორგანო მესამე სექტორისა და CSR-ის დირექტორატი, რომელიც, გარდა ზედამხედველობის ფუნქციისა, მონაწილეობს სოციალური მეწარმეობის აქტივობების დანერგვაშიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კვლევით ორგანიზაციებთან და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის გზით. იმავდროულად, იგი ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარებას, გასცემს დაფინანსებას და ა.შ.³⁷

ესპანეთში კოოპერატივებს ზედამხედველობს სოციალური ეკონომიკისა და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დირექტორატი. კოოპერატივმა უნდა შეიტანოს კოოპერატივთა რეესტრში ყოველწლიური ანგარიშის ფურცელი, მოგების უწყისი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი, ანგარიშგება და სხვა ფინანსური საბუთები. ის ვალდებულია, წარმოადგინოს სოციალური ანგარიშიც (social report).³⁸ საწარმო შესაძლოა ექვემდებარებოდეს ანგარიშგების გამარტივებულ წესს და ვალდებული იყოს მხოლოდ სოციალური ანგარიშის წარდგენაზე. ეს, როგორც წესი, ეხება პატარა და საშუალო ზომის საწარმოებს.³⁹

³⁵LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012, http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

³⁶ Ibid.

³⁷ Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ICNL, June, 2019

³⁸ LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012 http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

³⁹ Ibid.

ზოგიერთ ქვეყანაში რეგისტრაციისა და ზედამხედველობის ორგანოები გამიჯნულია. მაგალითად, **სლოვენიაში** სხვადასხვა ორგანოა უფლებამოსილი სოციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო ზედამხედველობა ევალება ეკონომიკის სამინისტროს.⁴⁰ აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც სოციალურ საწარმოებს ფინანსურად ეხმარებიან, ეკონომიკის სამინისტროსთანაც თანამშრომლობენ და ინფორმაციას აწვდიან შეუსაბამობის შემთხვევებში.⁴¹

სლოვენიაში არსებობს მულტიექტორული ორგანო, ე.წ. სოციალური მეწარმეობის საბჭო, რომელიც შედგება ყველა სამინისტროს წარმომადგენლის (საგარეოს გარდა), სოციალური საწარმოს 2 წარმომადგენლის, ერთი ექსპერტისა და ერთი სოციალური პარტნიორისაგან. მისი ძირითადი ფუნქციაა სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა ქვეყანაში.

2. პოლიტიკური აღიარება

ევროპული ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური საწარმოების პოლიტიკური აღიარება მნიშვნელოვანწილად გაიზარდა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე როგორც სოციალური საწარმოების დიდი ტრადიციის მქონე ქვეყნებში, ისე იქაც, სადაც სოციალური მეწარმეობა შედარებით ახალი ფენომენია. ამ ქვეყნებში სოციალური საწარმოები პოლიტიკურად აღიარეს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი საშუალებით. პოლიტიკური აღიარების ინსტრუმენტები მოიცავდა კონკრეტული სამინისტროების ფარგლებში სპეციალური დეპარტამენტებისა და სტრუქტურების შექმნას ცენტრალურ დონეზე (მაგალითად, სლოვაკეთი, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი) ან რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე (მაგალითად, დანია და ჰოლანდია), რომლებიც ან სოციალური საწარმოების ხელშეწყობაზე იყვნენ პასუხისმგებელნი, ან უფრო ფართოდ სოციალური ეკონომიკის განვითარებაზე (მაგალითად, საფრანგეთი და ესპანეთი).⁴² იმავდროულად, ზოგიერთმა ქვეყანამ შეიმუშავა ეროვნული ან რეგიონული/მუნიციპალური პოლიტიკური სტრატეგიები, რომლებიც სოციალური ეკონომიკის ან სოციალური საწარმოების განვითარებას ეხებოდა, რამაც კიდევ უფრო ხელი შეუწყო სოციალური საწარმოების როლის აღიარებას ამ ქვეყნებში. ამის კონკრეტული მაგალითები ქვემოთ უფრო დაწვრილებითაა განხილული (ბულგარეთი - ეროვნული სოციალური ეკონომიკის კონცეფცია, 2012; ხორვატია - სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, 2015; პოლონეთი - სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა).

ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში შეინიშნება სოციალური საწარმოების პოლიტიკური აღიარების ტენდენციაც. ამას თან სდევს ოფიციალური დოკუმენტები და პროგრამები, რომლებიც უშუალოდ ეხება სოციალურ საწარმოებს (მაგალითად, ალბანეთი, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი და თურქეთი).

ამ კვლევის ფარგლებში უფრო სიღრმისეულად გაანალიზდა ექვსი ქვეყნის სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტები, რომელთა მოკლე მიმოხილვაც ქვემოთაა მოცემული.

⁴⁰ Briefing on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ICNL, June 2019

⁴¹ Ibid.

⁴² Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

2.1 ბულგარეთი - სოციალური ეკონომიკის ეროვნული კონცეფცია

ზოგადი მიმოხილვა

ბულგარეთის რესპუბლიკამ 2012 წელს მიიღო სოციალური ეკონომიკის ეროვნული კონცეფცია, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ბულგარეთის სოციალური ეკონომიკის მოდელისა და პრაქტიკის განვითარება. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია ბულგარეთის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობით, დამტკიცებულია მთავრობის მიერ და წარმოადგენს სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც ეყრდნობა ევროპა 2020 სტრატეგიის ჩარჩოს⁴³ და ითვალისწინებს გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის მიღწევას ქვეყანაში. კონცეფციის მიღება ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის ნაწილიცაა.

კონცეფციის დოკუმენტში მოცემულია სოციალური ეკონომიკის განმარტება: **სოციალური ეკონომიკა კოლექტიური ცნებაა იმ ორგანიზაციებისა და კომპანიების საქმიანობის აღსაწერად, რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სოციალურ სფეროში ცვლილებების მიღწევა.** სოციალური ეკონომიკა ეხება ორივეს - რეალურ ეკონომიკასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას - და განეკუთვნება სფეროს, რომელშიც მოხალისეობრივი ან სხვა ორგანიზებული ჯგუფები ასრულებენ ეკონომიკურ საქმიანობებს საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარ მოგებას რეინვესტირებენ, რათა მიაღწიონ სოციალურ მიზნებს.

კონცეფციის დოკუმენტის თანახმად, სოციალური ეკონომიკის უმთავრესი ფუნქციებია:⁴⁴

1. ეკონომიკური ფუნქცია - საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად;
2. სოციალური ფუნქცია - დანახარჯების მიხედვით;
3. სოციო-პოლიტიკური ფუნქცია - სოციალური სოლიდარობის გაღვივება საზოგადოებაში.

სოციალური ეკონომიკა დგას მდგრად ბიზნესმოდელზე, რომელიც ფასდება არა მისი ზომისა და აქტივობის, არამედ იმ საერთო ღირებულებების მიხედვით, რომლებზეც დგას. ესენია: დემოკრატიული მართვა, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების ჩართვა სოციალური პროგრესის მისაღწევად, ადამიანის უფლებები, სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების განუხრელი დაცვა (რომლებიც აერთიანებს წევრების ინტერესებს საერთო ინტერესებში), მოხალისეობრივი და ღია წევრობა, ავტონომიური მმართველობა და საჯარო ინსტიტუტებისაგან დამოუკიდებლობა, მოგების ინვესტირება წევრებისა და საერთო კოლექტიური ინტერესის სასარგებლოდ მდგრადი განვითარების მისაღწევად.

სოციალური ეკონომიკის საწარმოები იმართება, როგორც ბიზნესი. ისინი აწარმოებენ პროდუქციასა და სერვისებს საბაზრო ეკონომიკისათვის და ამასთან, საკუთარ რესურსებს თავს უყრიან სოციალური და ეკონომიკური მიზნებისათვის.

სოციალური ეკონომიკა მოიცავს ყველანაირი ტიპის იურიდიულ პირს, რომელსაც სოციალური მიზანი გააჩნია. ეს შეიძლება იყოს კოოპერატივი, ასოციაცია, ფონდი, გაერთიანება და სხვ. სოციალური ეკონომიკა იკავებს ადგილს სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკას შორის.

⁴³ Strategic Framework for Social Entrepreneurship Development in Bulgaria, Venelin Terziev and Nikolay Nichev

⁴⁴ National Social Economy Concept, Ministry of Labour and Social Policy, Republic of Bulgaria, Sofia, 2011

სოციალური ეკონომიკა და სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობა ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც აფუძნებს სოციალურ საწარმოებს. სოციალური მეწარმეობა ოთხ იდეას ემყარება: 1. სოციალური მეწარმე სწევს რისკს. იგი მოქმედებს ნაკლებად უსაფრთხო გარემოში; 2. სოციალური მეწარმეობა ინოვაციური და კრეატიული ბუნებისაა; 3. სოციალური მეწარმეები ავითარებენ სოციალურ ეკონომიკას და უზრუნველყოფენ შეზღუდული სოციალური რესურსების ეფექტურ უტილიზაციას; 4. სოციალური მენეჯმენტი, რომელიც ინოვაციური გზებით ცდილობს სოციალური მიზნების შესრულებას.

სოციალური ეკონომიკის ეროვნული კონცეფცია ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესსაც უკავშირდება. დოკუმენტში მოცემულია კონცეფციის შესაბამისობა ლისაბონის სტრატეგია 2000-2010-ის⁴⁵ ამოცანებთან. კონცეფციაში განხილულია ქვეყნის კონტექსტიც, მათ შორის, სხვადასხვა ეკონომიკური მახასიათებლისგან ხაზგასმულია უმუშევრობის მაჩვენებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში.

კონცეფციის ხედვა, მიზნები და პრინციპები

ხედვა: ძლიერი და განვითარებული სოციალური ეკონომიკის სექტორი მოწყვლად ჯგუფებს აძლევს ფართო შესაძლებლობებს აქტიური ჩართულობის, უფრო მოქნილი და უსაფრთხო დასაქმებისა და ტერიტორიული კავშირების (კოჰეზია) განვითარებისათვის.

მიზნები: კონცეფციის მიზანია, განსაზღვროს საწყისი მდგომარეობა და ხელი შეუწყოს შესაბამისი კრიტერიუმების დანერგვას სოციალური ეკონომიკის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის; იგი მიჩნეულია მოქმედ „სტანდარტად“, რათა ხელი შეუწყოს სოციალური ეკონომიკის განვითარებას, წახალისოს სოციალური აქტორები და მათი მიმდევრები სოციალური სოლიდარობის სულისკვეთების გავრცელებაში; სოციალური ეკონომიკის საწარმოებისათვის ხელსაყრელი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო გარემოს განვითარება წარმოადგენს ბაზისს (დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა, სოციალური საკითხები საჯარო შესყიდვებში, საგადასახადო შეღავათები და სხვ.);

პრინციპები: კონცეფციაში აღნიშნულია, რომ სოციალური ეკონომიკის დაფუძნება და განვითარება ბულგარეთში უნდა იდგეს კარგი მმართველობის წამყვან პრინციპებზე, იმავდროულად, სოციალური ეკონომიკის საუკეთესო მოდელებსა და პრაქტიკაზე. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ბალანსს ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალური მიზნების მიღწევას შორის, საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვასა და სოლიდარობის პრინციპის დაცვას შიდა მართვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

კრიტერიუმები

ბულგარეთი იყენებს ევროპარლამენტის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს სოციალური ეკონომიკის სექტორის განსაზღვრისათვის. ესენია:⁴⁶

- სოციალურ სარგებელზე ორიენტირებული საქმიანობის წესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე - მოგება;

⁴⁵ The Lisbon Strategy 2000-2010, Directorate General for Internal Policies, European Parliament, available:

<https://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201107/20110718ATT24270/20110718ATT24270EN.pdf>

⁴⁶ Ibid.

- სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვა და განხორციელება;
- წევრების ინტერესების შესაბამისობა საერთო ინტერესთან;
- წევრების დემოკრატიული კონტროლი („ერთი მონაწილე, ერთი ხმა“);
- ნებაყოფლობითი და ღია წევრობა;
- თვითმმართველობა და ავტონომია სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან;
- ეკონომიკური შედეგების ძირითადი ნაწილის ინვესტიცია:
 - კომპანიის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად;
 - მონაწილეთა კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
 - კოლექტიური ინტერესის სასარგებლოდ.

ხელსაყრელი გარემო

შემდგომ კონცეფიაში განხილულია სოციალური ეკონომიკის *სამართლებრივი ასპექტები*, ესენია: სამართლებრივი უზრუნველყოფა, საკანონმდებლო მოდელები, საკანონმდებლო აღიარება, სტატისტიკური აღიარება და აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები. სამართლებრივი უზრუნველყოფის ნაწილში განხილულია ევროპული კანონმდებლობა და შემდგომ მიმოხილულია ბულგარეთის ეროვნული კანონმდებლობის ის ასპექტები, რომლებიც უკავშირდება სოციალური ეკონომიკის აქტორების საქმიანობას (მაგალითად, კოოპერატივების აქტი, ვაჭრობის აქტი, აქტი არაკომერციულ იურიდიულ პირებზე, სოციალური დახმარების აქტი, დასაქმების ხელშეწყობის აქტი, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების შესახებ და ა.შ.).

საკანონმდებლო მოდელებზე საუბრისას კონცეფციის დოკუმენტი, ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ყურადღებას ამახვილებს ორ მნიშვნელოვან მომენტზე: ა) კანონმდებლობის მუდმივი დახვეწა და გაუმჯობესება სოციალური ეკონომიკის აქტორების სტაბილური, მდგრადი განვითარების წინაპირობაა; ბ) სოციალური ეკონომიკის ასპექტის გათვალისწინებით, მუდმივი იურიდიული ანალიზი, რათა მომზადდეს კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს არსებული კანონმდებლობის შემდგომ ჰარმონიზაციას.

კონცეფციის დოკუმენტი საკანონმდებლო აღიარებაზე საუბრისას კვლავ ხაზს უსვამს ევროკავშირის პოლიტიკების მნიშვნელობას, რომელიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, შექმნან საკანონმდებლო ჩარჩო სოციალური ეკონომიკისათვის, როგორც მესამე სექტორისათვის. კონცეფცია ზოგადად აღწერს ქვეყნის კანონმდებლობაში საჭირო ცვლილებებს.

დოკუმენტში განხილულია ინსტიტუციური და მატერიალური ცვლილებების საჭიროებაც. ინსტიტუციურ ასპექტში ნაგულისხმევია ორპოლუსიანი სისტემის შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, მოაწესრიგებს საკანონმდებლო ჩარჩოს და, მეორე მხრივ, სოციალური ეკონომიკის აქტორებისათვის სხვადასხვა რესურსზე ხელმისაწვდომობას გააჩენს. საკანონმდებლო ჩარჩოზე საუბრისას ხაზგასმულია, რომ ბულგარეთში სოციალური ეკონომიკის მრავალფეროვანი აქტორი ფუნქციონირებს (კოოპერატივები, სპეციალიზებული საწარმოები, საწარმოები დასაქმების ხელშეწყობისათვის, სოციალური საწარმოები არასამეწარმეო იურიდიული პირების ქვეშ, ფონდები, ასოციაციები და სხვა). შესაბამისად, კონცეფციის დოკუმენტი განმარტავს, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო აძლევს მოქმედების სრულ თავისუფლებას ყველა აქტორს, რომლითაც ირიბად გამორიცხავს სპეციალიზებული კანონის შექმნას სოციალური საწარმოებისათვის, რადგან საკმარის პირობად მიაჩნია არსებული საკანონმდებლო გარემო. რაც

შეეხება მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას, კონცეფციის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბულგარეთის სოციალური პოლიტიკა სოციალური ეკონომიკის სექტორს სხვადასხვა მიდგომით უწევს **ფინანსურ დახმარებას**, ესენია:

- საგრანტო სქემები, რომლებიც სოციალურ საწარმოებსა და სოციალურ პლატფორმებს ეხმარება დაფუძნებასა და განვითარებაში;
- საგადასახადო შეღავათები - არსებული შეღავათების განვრცობა სოციალური ეკონომიკის ყველა აქტორზე, მათ შორის, სოციალურ საწარმოებზე;
- ახალი საგადასახადო პრეფერენციების დადგენა სოციალური საწარმოებისათვის;
- სახელმწიფო სუბსიდია, რომელიც კანონმდებლობით დაშვებულია;
- საკრედიტო სქემებზე ხელმისაწვდომობა;
- დამატებითი კრიტერიუმების განსაზღვრა სოციალური ეკონომიკის აქტორების, განსაკუთრებით, სოციალური საწარმოებისათვის, როდესაც ისინი მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, რათა წახალისდეს მათი საქმიანობა;
- საგადასახადო შეღავათების დადგენა იმ დონორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სოციალურ საწარმოებს აფინანსებენ;
- არსებული პოლიტიკებისა და პროგრამების ფარგლებში ახალი შესაძლებლობების მოძიება.

კონცეფციის დოკუმენტს შემოაქვს პოლიტიკური ასპექტი ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. მასში აღნიშნულია, რომ ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინება მნიშვნელოვანია მსგავსი პოლიტიკების საწარმოებლად. ადგილობრივ დონეზე სოციალური ეკონომიკის აქტორები აღიარებულნი უნდა იყვნენ, როგორც პარტნიორები და სოციალური დიალოგის სუბიექტები. სოციალური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების განვითარების კუთხითაც. კონცეფციაში საუბარია განათლების სფეროში სოციალური მეწარმისათვის აუცილებელი უნარებისა და კომპეტენციების დანერგვის საჭიროებაზე.

კონცეფციის დოკუმენტს თან უნდა დაერთოს **განხორციელების გეგმები**. კონცეფციის დოკუმენტის აღსრულებაზე პასუხისმგებელ საჯარო ინსტიტუტებად სახელდება **შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო**, რომელიც ქმნის უწყებათაშორის დეპარტამენტს და უწევს კოორდინაციას კონცეფციის შესრულებას.

კონცეფცია მოიცავს **მონიტორინგისა და შეფასების** ნაწილსაც, რომელშიც განმარტებულია, რომ ყოველწლიურად უნდა იწარმოებოდეს ანგარიში, თუ რა კეთდება ამ მიმართულებით. სხვადასხვა მხარის მიერ წარმომადგენელი ანგარიშები საბოლოოდ უნდა წარედგინოს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია მის შემდგომ გამოქვეყნებასა და გავრცელებაზე.

კონცეფციის მიღებისთანავე ბულგარეთის **მთავრობა ვალდებულია, გადადგას შემდეგი ნაბიჯები**:

- კონცეფციის ინიცირება და ინსტიტუციონალიზაცია;
- კრიტერიუმების დამტკიცება სოციალური ეკონომიკის აქტორებისათვის;
- მომზადება და ინიცირება საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომლებიც ხელსაყრელი გარემოს შექმნას ემსახურება;
- სოციალური ეკონომიკის სტატისტიკური ანგარიშების წარმოებისათვის შესაბამისი ზომების უზრუნველყოფა.

კონცეფციის დოკუმენტის ბოლოს მოცემულია ყველა ძირითადი განმარტება, რომლებიც უკავშირდება სოციალური ეკონომიკის სექტორს.

2.2 ესტონეთი - სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული გეგმა

ზოგადი მიმოხილვა

ესტონეთში სოციალური მეწარმეობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება მე-19 საუკუნიდან. ეს დაკავშირებულია ეკონომიკის ტრანზიციის პროცესთან (თავისუფალი ბაზრის პრინციპზე გადასვლა). ესტონეთში სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური მეწარმეობის განვითარებას შორის საკმაოდ ძლიერი კავშირი არსებობს. თავდაპირველად, სწორედ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაიწყო ერთგვარი „დე ფაქტო“ სოციალური საწარმოების მოდელის განვითარება. რაც შეეხება თვითონ ტერმინს, სოციალური მეწარმეობა ოფიციალურად არ განმარტებულა ესტონეთში, თუმცა ტერმინის გამოყენება ქვეყანაში აქტიურად იწყება 2005 წლიდან.⁴⁷ არსებული განმარტების მიხედვით, ერთმანეთისგან გაიმიჯნა ორი ცნება - სოციალური საწარმო და სოციალური მეწარმეობა. ესტონეთში სოციალური მეწარმეობა კანონით არ არის დარეგულირებული, თუმცა არსებობს დე ფაქტო სოციალური საწარმოები სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით. მაგალითად: არაკომერციული იურიდიული პირი (ა(ა)იპ), კომპანია, ფონდი და ა.შ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოციალური საწარმოებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, გააჩნდეთ სოციალური მიზანი, მდგრადი ბიზნესის მოდელი და მოგების განაწილების შეზღუდვა (profit distribution constraint). ესტონეთში ოპერირებს არაერთი ინსტიტუტი და აქტორი, რომლებიც აქტიურად ცდილობენ, ხელი შეუწყონ სექტორის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და სოციალური საწარმოებისა თუ სოციალური მეწარმეების ინტერესების ლობირებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით საგულისხმოა **ესტონური სოციალური საწარმოების ქსელი**⁴⁸ და **სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდი**.⁴⁹ ეს უკანასკნელი გასცემს გრანტებს ფონდებისა და არაკომერციული ასოციაციებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურ საწარმოებს.

ესტონეთში არსებობს პოლიტიკის რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც სწორედ სოციალური მეწარმეობის განვითარებას ეხება. მაგალითისთვის, სოციალური მეწარმეობა ნახსენებია შინაგან საქმეთა სამინისტროს **სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნულ გეგმაში 2015-2020**.⁵⁰ ეს გეგმა წარმოადგენს ესტონეთის მთავრობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს, რომელიც სამინისტროს აქტიური თანამშრომლობის შედეგია როგორც საჯარო უწყებებთან, ისე არასამთავრობო სექტორთან. აღნიშნულ დოკუმენტს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი

⁴⁷ Social Enterprises and their Ecosystems in Europe: Country Report Estonia, 2019, available at:

<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/7eb04945-c3c0-11e9-9d01-01aa75ed71a1/language-en/format-PDF>

⁴⁸ Estonian Social Enterprise Network, available at: <http://www.socialenterprisebsr.net/social-enterprises-support-organisations/estonian-social-enterprise-network/>

⁴⁹ National Foundation of Civil Society, available at: <https://www.kysk.ee/national-foundation-of-civil-society>

⁵⁰ Estonian Civil Society Development Plan 2015-2020, available at:

https://www.siseministerium.ee/sites/default/files/elfinder/article_files/estonian_cs_dev_plan_2015-2020_extract.pdf

მიმართულება, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროსა და მათ კომპეტენციას ეხება. ერთ-ერთი მჭიდროდ უკავშირდება სოციალური საკითხების სამინისტროს და ეხება სოციალურ ინოვაციებს, სოციალურ საწარმოებს, სოციალური სერვისების მიწოდებასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტის იმპლემენტაციაზე მთავარი პასუხისმგებელი ორგანო თავად შინაგან საქმეთა სამინისტროა. ის ამ პროცესშიც აქტიურად თანამშრომლობს როგორც საჯარო (სხვადასხვა სამინისტრო, სააგენტო და ადგილობრივი ხელისუფლება), ისე არასამთავრობო სექტორთან (ასოციაციები და ა.შ). აღნიშნული დოკუმენტის ძირითად პრიორიტეტებს შორის არის მოქალაქეთა ასოციაციების ჩართულობა და მათი გავლენა სოციალური პრობლემების პრევენციასა და გადაჭრაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია სოციალურ ინოვაციებსა და სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.⁵¹ აღნიშნულის მისაღწევად კი საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საკუთარი შემოსავლის გაზრდის უნარის განვითარება მათი მდგრადობისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაუმჯობესებით. საუბარია იმაზეც, რომ აუცილებელია, ბიუროკრატიული გარემო უფრო ხელშემწყობი იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. საინტერესო დეტალს წარმოადგენს ისიც, რომ ძირითადი ბიუჯეტი იმართება სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდის მიერ. ბიუჯეტი ძირითადად იხარჯება სოციალური ინოვაციების კონკურსზე.

სამინისტროებზე საუბრისას აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური საკითხების სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტი (**კეთილდღეობის განვითარების გეგმა 2016-2023**)⁵² ეხმიანება სოციალური მეწარმეობის განვითარებასაც. ეს დოკუმენტი განსაკუთრებით ეხება იმ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც ფოკუსირებულია დასაქმების ბაზარზე ნაკლებად კონკურენტული პირებისათვის სერვისების დაფინანსებაზე. არსებობს დოკუმენტი (**ახალგაზრდული პროგრამა 2018-2021**), რომლის პოპულარიზაციასაც აქტიურად ეწევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამ დოკუმენტში, თავის მხრივ, ნახსენებია იმ სოციალური საწარმოების ხელშეწყობა, რომლებიც ახალგაზრდების ინკლუზიისათვის საჭირო პროექტებზე მუშაობენ.

აღსანიშნავია **ახალგაზრდებისათვის სოციალური მეწარმეობის სტრატეგიაც**, რომელიც შეიქმნა ახალგაზრდული მუშაობის ცენტრთან თანამშრომლობით. სწორედ ამის შედეგია ესტონეთში არსებული ახალგაზრდული სოციალური მეწარმეობის პროგრამა - **Changemakers Academy**.⁵³

ესტონეთში სოციალური მეწარმეობის განვითარება სხვადასხვა მიმართულებით არსებული სტრატეგიული დოკუმენტების ნაწილია. ამას მოწმობს **სოციალური კეთილდღეობის აქტი (2015)**⁵⁴ და ზემოთ ნახსენები **კეთილდღეობის განვითარების გეგმა 2016-2023 წლები**. ამ უკანასკნელში

⁵¹ Impact Assessment of the Civil Society Development Plan, June, 2019, available at:

https://www.riigikantselei.ee/sites/default/files/content-editors/uuringud/impact_assessment_of_the_civil_society_development_plan_summary.pdf

⁵² Welfare Development Plan 2016-2023, available: https://www.sm.ee/sites/default/files/content-editors/eesmargid_ja_tegevused/welfare_development_plan_2016-2023.pdf

⁵³ Support for Young Social Entrepreneurs, The Changemakers Academy, Estonia, available at:

<http://www.socialenterprisebsr.net/2018/09/support-for-young-social-entrepreneurs-the-changemakers-academy-in-estonia/>

⁵⁴ Social Welfare Act, December, 2015, available: <https://www.riigiteataja.ee/en/eli/504042016001/consolide>

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამუშაო ადგილების შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის; სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა და განვითარება ამ და სხვა მსგავსი მიზნების მიღწევასთან ასოცირდება. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტში სოციალური მეწარმეობა სწორედ ამ ამოცანების შესრულების კონტექსტშია მოხსენიებული. ამიტომაც ესტონეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის სამუშაო ადგილების შექმნა საკმაოდ პრიორიტეტულია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორისათვის; არსებობს არაერთი ფონდი, პროგრამა და შესაძლებლობა სოციალური საწარმოებისათვის, რომლებიც აღნიშნულს ემსახურებიან.

ამ მხრივ, კიდევ ერთ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს **ესტონეთის მეწარმეობის განვითარების 2014-2020 წლების სტრატეგია**,⁵⁵ რომელიც საკმაოდ მრავლისმომცველია და ფოკუსირებულია ქვეყნის ზოგადი პროდუქტიულობის განვითარებასა და დასაქმების გაზრდაზე. სწორედ ამ კონტექსტში ყურადღება გამახვილებულია სოციალურ მეწარმეობაზეც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ესტონეთი საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია სტარტაპების ერთგვარ ჰაბად. გარდა ამისა, არსებობს განვითარების გეგმები და პოლიტიკის სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტი თუ სტრატეგია, რომლებიც არაპირდაპირ მაინც ეხება სოციალურ საწარმოებს.

სოციალური საწარმოების ადვოკატირებას აქტიურად ეწევა სხვადასხვა ქსელი და ორგანიზაცია. მათ შორისაა, ესტონეთის სოციალური საწარმოების ქსელი, ზემოთ ნახსენები სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდი და სხვა. ამათ გარდა, აღნიშნულ პროცესში აქტიურადაა ჩართული აკადემიაც. ამის მაგალითს წარმოადგენს ტალინის უნივერსიტეტი, რომელმაც დაიწყო სოციალური მეწარმეობის სამაგისტრო პროგრამის დანერგვა.

როგორც უკვე აღინიშნა, ესტონეთში სოციალური საწარმოების დაფინანსების თვალსაზრისით ერთ-ერთი მთავარი აქტორი სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდია. ამ ფინანსურ დახმარებას აქვს პროექტული ფორმატი, აღნიშნული ფონდი აფინანსებს შესაბამის პროექტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სექტორის მთლიანობაში განხილვა რთულია, რადგან ისინი დიდწილად არ არიან აქტიურად ჩართულები აღნიშნულ პროცესებში, საბანკო სექტორის როლი მაინც აღსანიშნავია. თუმცა ზოგიერთი ბანკი (SEB bank) აფინანსებს სოციალური მეწარმეობის ცნობილ და პრესტიჟულ კონკურსებს (Ajajaht).

ესტონეთში არსებობს ასოციაციებისა და ფონდების ქსელი - ესტონური არაკომერციული ორგანიზაციების ქსელი (NENO). იმავდროულად, არსებობს ასეთივე ქსელი სოციალური საწარმოებისათვის (ESEN). NENO-ს ძირითადი როლია, აქტიურად დაიცვას ესტონური არაკომერციული ორგანიზაციების საზოგადოებრივი ინტერესები. არსებობს ესტონური ფონდის ცენტრიც. ის ყველაზე დიდი ესტონური ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივი სარგებლის არაკომერციულ ორგანიზაციებს. მათი საქმიანობის ფოკუსი საზოგადოებრივი

⁵⁵ Estonian Entrepreneurship Growth Strategy 2014-2020, September, 2013, available at: https://kasvustrategia.mkm.ee/index_eng.html

ინტერესია (შესაბამისად, მის წევრებს შორის არის სოციალური საწარმოებიც). ის აქტიურად ადვოკატირებს ესტონეთის საზოგადოებრივი სარგებლის ორგანიზაციების სახელით. სოციალური საწარმოების წარმომადგენლებისათვის ხშირად აორგანიზებს ტრენინგებს. რაც შეეხება ESEN-ს, ის დაარსდა 2012 წელს და მისი ძირითადი მიზანია ესტონური სოციალური საწარმოების რაოდენობის, შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი გავლენის გაზრდა. ქსელი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული პარტნიორია **სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული სტრატეგიის 2015-2020** მიზნების მიღწევის პროცესში.

ეს ყველაფერი ესტონეთში ქმნის ერთგვარ ჯაჭვს, რომლის მნიშვნელოვან რგოლებს, ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით, წარმოადგენენ შემდეგი აქტორები:

სამთავრობო დეპარტამენტები, ინსტიტუტები, რომლებიც ქმნიან და იმპლემენტაციას უწევენ საჭირო პოლიტიკას, ხელშემწყობ ინსტრუმენტებსა და ინფრასტრუქტურას სოციალური საწარმოებისათვის:

- ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო (პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გეგმაზე);
- ესტონეთის სოციალური საკითხების სამინისტრო.

სახელმწიფო შესყიდვების, სამართლებრივი, ფისკალური და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და აღსრულება:

- ფინანსთა სამინისტრო.

ორგანიზაციები, რომლებიც სოციალურ მეწარმეობას უწევენ პოპულარიზაციას და მატერიალურად მხარს უჭერენ (გაცემენ პრიზებს, ჯილდოებს):

- სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდი;
- Brainhunt - კონკურსი.

აქტორები, რომლებიც აკვირდებიან არსებულ ვითარებას, აწარმოებენ განვითარების მონიტორინგს და აფასებენ სოციალური საწარმოების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს:

- ესტონეთის სოციალურ საწარმოთა ქსელი (ESEN).

ინკუბატორები:

- სოციალური ინოვაციების ინკუბატორი (NULA);
- ფილანთროპული ზემოქმედების ფონდი (Philanthropic Impact Fund);
- საგრანტო პროგრამა „Step change“.

სოციალურ საწარმოთა ქსელებისა და ასოციაციების დამფუძნებლები, რომლებიც აქტიურად ეწევიან სექტორის ადვოკატირებას, ურთიერთდახმარებასა და ერთობლივი აქტივობების ორგანიზებას:

- ესტონეთის სოციალურ საწარმოთა ქსელი (ESEN);

- კარგ საქმეთა ფონდი (Good Deed Foundation);
- სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდი (NFCS);
- ესტონური არაკომერციული ორგანიზაციების ქსელი (NENO).

სოციალური მიმართულებით მომუშავე არსებული ინვესტორები, ფონდები, ფილანთროპები და ე.წ. crowdfunding პლატფორმები, რომლებიც სოციალური საწარმოების განვითარებასა და მათი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობას ისახავენ მიზნად:

- აწარმოე ესტონეთი;
- უმუშევრობის დაზღვევის ესტონური ფონდი;
- „Crowdfunding“ პლატფორმა Kickstarter.

2.3 ლატვია - მდგრადი განვითარების სტრატეგია 2020-2030

სოციალური საწარმოები ლატვიაში ერთგვარი სიახლე აღმოჩნდა, თუმცა სექტორის განვითარება საკმაოდ სწრაფი ტემპით ხასიათდება. ამას გარკვეულწილად იმანაც შეუწყო ხელი, რომ სოციალური მოძრაობები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან იწყებენ ოპერირებას ქვეყანაში. სოციალური საწარმოები, ძირითადად, უკავშირდება ასოციაციებისა და ფონდების საქმიანობას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში (ისევე, როგორც ესტონეთში) საწარმოების განვითარება სწორედ არასამთავრობო სექტორს უკავშირდება. ლატვიაში სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თარიღს წარმოადგენს 2018 წელი, როდესაც სოციალური მეწარმეობის კანონი მიიღეს. სწორედ კანონი განმარტავს სოციალურ საწარმოს,⁵⁶ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიას, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი. იმისათვის, რომ სოციალური საწარმოს სტატუსი შენარჩუნდეს, აუცილებელია გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება. მათგან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, რომ ორგანიზაციას გააჩნდეს სოციალური მიზანი, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალა. სოციალური მეწარმეობის კანონის გარდა, არსებობს სახელმწიფო შესყიდვების კანონი (რომელშიც შეიტანეს ცვლილებები), რომლის მიხედვითაც სოციალური საწარმოები ხდებიან კონტრაქტის სუბიექტები.

ლატვიაში არსებობს სოციალური მეწარმეობის სტატუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა იურიდიულ პირს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ეს სტატუსი, თუ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სოციალური საწარმოს სტატუსი გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებისგან.⁵⁷ უფრო კონკრეტულად ლატვიაში სოციალური საწარმო წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (SIA), რომლის ეკონომიკური საქმიანობაც ქმნის სასარგებლო სოციალურ გავლენას (მაგალითად, სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა, ინკლუზიური საზოგადოების შექმნა, განათლების პოპულარიზაცია, მეცნიერების მხარდაჭერა, გარემოს ან ცხოველების დაცვა და ა.შ.) და დადგენილი პირობებითა და კრიტერიუმებით აქვს სოციალური საწარმოს სტატუსი, რომელიც განსაზღვრულია კანონით.⁵⁸

⁵⁶ Social Enterprises and their Ecosystems, Country Report Latvia, Lasma Licite, September, 2018.

⁵⁷ Social Entrepreneurship in Latvia, available at: <https://sua.lv/en/about-social-entrepreneurship/>

⁵⁸ Social Enterprise Law, Latvia, available at: <https://likumi.lv/ta/en/en/id/294484-social-enterprise-law>

აღსანიშნავია ისიც, რომ ლატვიაში არსებობს სოციალური მეწარმეობის კონცეფცია, რომელიც 2014 წელს მიიღო მინისტრთა კაბინეტმა. ის ინტეგრირებულია ორ მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტში:

ლატვიის რესპუბლიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია 2030 წ-მდე⁵⁹

სტრატეგია წარმოადგენს ლატვიის სეიმის (პარლამენტის) მიერ დამტკიცებულ სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც შექმნილია მონაწილეობითი პრინციპებით, ექსპერტების, რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ადგილობრივი მთავრობის აქტიური თანამშრომლობით. მისი მიღების საფუძველი შექმნა გლობალური განვითარების ტენდენციებმა, გამოწვევებმა და მათმა გავლენამ ლატვიაზე. აღნიშნული დოკუმენტი ასახელებს რამდენიმე ფუნდამენტურ მიზანსა და ამოცანას. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ ეხება სოციალურ მეწარმეობას. ამის მაგალითს წარმოადგენს დოკუმენტში დასახული შემდეგი ამოცანა - სოციალური საწარმოების დაარსება და სოციალური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასაკოვან მოსახლეობას, ახალგაზრდებსა და ბავშვებს, შესაბამისად, ამ მიმართულებით მომუშავე სოციალური საწარმოების მხარდაჭერას.

ლატვიის განვითარების ეროვნული გეგმა 2014-2020 წლებისათვის⁶⁰

ეროვნული გეგმა წარმოადგენს ლატვიის სეიმის (პარლამენტის) მიერ დამტკიცებულ სამართლებრივ დოკუმენტს. იგი შემუშავებულია ექსპერტების, ინტერსექტორული კოორდინაციის ცენტრის (CSCC), სამთავრობო სტრუქტურების, სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლებების ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგისტრირებული სამუშაო ადგილებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ბიზნესის პოპულარიზაციას; იმავდროულად, საზოგადოების ჩართულობას სოციალური პრობლემების მოგვარებაში; აღნიშნული ეხება სოციალური საწარმოების დაარსების ხელშეწყობასაც.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ლატვიაში სოციალური საწარმოები და, ზოგადად, სოციალური მეწარმეობა ძირითადად ინტეგრირებულია სხვადასხვა სტრატეგიის დოკუმენტში. რაც შეეხება თავად მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებულ კონცეფციას (**Concept paper „About the implementation of social entrepreneurship in Latvia”⁶¹**), მის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- სოციალური საწარმოს პოტენციალის აღიარება და დაფასება;
- სრულყოფილი და ეფექტური მხარდამჭერი სისტემის დანერგვა და სოციალური მეწარმეობის განვითარების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა;

⁵⁹ Sustainable Development Strategy of Latvia until 2030, Republic of Latvia, June, 2010, available at: https://www.pkc.gov.lv/sites/default/files/inline-files/LIAS_2030_en_1.pdf

⁶⁰ National Development Plan of Latvia for 2010-2020, December, 2012, available at: https://www.pkc.gov.lv/images/NAP2020%20dokumenti/NDP2020_English_Final.pdf

⁶¹ Social Entrepreneurship in Latvia: A brief overview of the current situation, Social Entrepreneurship Association of Latvia, 2018, available at: https://sua.lv/wp-content/uploads/2019/04/LSUA_report_2-ENG.pdf

- შესაბამისი დეფინიციების, სათანადო კრიტერიუმებისა და შეთავაზება იმ მიმართულებებისა, რომლებიც სოციალური საწარმოების მხარდაჭერაზე იქნება ფოკუსირებული.

სტრატეგიულ დოკუმენტებთან ერთად ლატვიაში არსებობს არაერთი სახელმწიფო სტრუქტურა, ქსელი თუ ორგანიზაცია, რომლებიც სექტორის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვან დაინტერესებულ აქტორებს წარმოადგენენ. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია კეთილდღეობის სამინისტრო. სწორედ აღნიშნული სამინისტროა სოციალურ მეწარმეობაზე პასუხისმგებელი. კეთილდღეობის სამინისტროს მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის გაძლიერება და პოპულარიზაცია. ამ მიმართულებით არსებული ამოცანების შესრულებას სამინისტრო ახერხებს შემდეგი სამართლებრივი და პოლიტიკის დოკუმენტებზე დაყრდნობით:

- ლატვიაში სოციალური მეწარმეობის დანერგვის ზემოხსენებული კონცეფცია (2014 წელს დამტკიცებული);
- ევროპის სოციალური ფონდის პროექტი „სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა“ 2015-2022. აღნიშნული ინერგება განვითარების ფინანსურ ინსტიტუტთან პარტნიორობით;
- სოციალური მეწარმეობის კანონი (მიღებული 2017 წელს, ძალაშია 2018 წლის 1 აპრილიდან).

განვითარების ფინანსური ინსტიტუტი (ALTUM) აქტიურად თანამშრომლობს კეთილდღეობის სამინისტროსთან და პასუხისმგებელია საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც სოციალურ მეწარმეობას უკავშირდება. ის არის მთავარი პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სოციალური საწარმოს ფინანსური დახმარების პროგრამას ევროპული სოციალური ფონდის სახსრების გამოყენებით.

დასაქმების სახელმწიფო სააგენტო იმ ორგანოებს შორისაა, რომელთაც წვლილი შეაქვთ სოციალური საწარმოების გაძლიერებაში. სააგენტო ეხმარება ადამიანებს, იპოვონ დასაქმების შესაძლებლობები. ის პასუხისმგებელია იმ პროგრამებზეც, რომლებიც ასაქმებს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, უმუშევარი ახალგაზრდები და ა.შ.). აქედან გამომდინარე, დასაქმების სახელმწიფო სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს იმ სოციალურ საწარმოებთან, რომლებიც სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ.

სოციალური მეწარმეობის განვითარებით აქტიურად მომუშავე სამინისტროებს შორისაა ეკონომიკის სამინისტროც. ეს უკანასკნელი კონკრეტულად მხოლოდ სოციალურ საწარმოებზე არ ფოკუსირდება, ის მთლიანად მეწარმეობის განვითარების მიმართულებით ძირითადი პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურაა ქვეყანაში. საგადასახადო სისტემისა და შესაბამისი პოლიტიკის მიმართულებით ფინანსთა სამინისტროც უერთდება მათ. ამ კონტექსტში უნდა ითქვას ისიც, რომ ლატვიაში სოციალური საწარმოები იხდიან თითქმის ყველა იმ გადასახადს, რომლებსაც ჩვეულებრივი სტანდარტული ბიზნესმოდელის მქონე კომპანიები (არსებობს მხოლოდ მცირე გამონაკლისები). გამომდინარე იქიდან, რომ ლატვიის ინვესტიციებისა და განვითარების სააგენტო (LIAA) პოპულარიზაციას უწევს ბიზნესის განვითარებასა და კონკურენციის გაზრდას, ისიც მათ რიგებშია, ვინც აქტიურად ზემოქმედებს (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) სოციალურ საწარმოებზე.

ლატვიაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით საინტერესო როლი აქვთ მუნიციპალიტეტებსაც. ადგილობრივ ხელისუფლებებსაც შეუძლიათ სოციალურ საწარმოებთან მიმართებით მხარდამჭერი ფუნქციის შეთავსება. ამას შემდეგი ფორმით აკეთებენ:

- უძრავი ქონების გადასახადის შემსუბუქება;
- მუნიციპალური ქონებით უფასო სარგებლობის შესაძლებლობით უზრუნველყოფა;
- საჯარო პირის საკუთრების/მომრავი ქონების სოციალური საწარმოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლება აქვთ, შემოიღონ სპეციალური საგრანტო პროგრამები ან სხვადასხვა საშუალებით დაეხმარონ სოციალურ საწარმოებს. მაგალითად, უზრუნველყონ ისინი სათანადო ინფრასტრუქტურით: შენობა, საოფისე ტექნიკა, ინტერნეტი, ტრანსპორტი და ა.შ. შესაბამისი კანონი ადგილობრივ ხელისუფლებას არ ავალდებულებს ამ ყველაფრის გაკეთებას, თუმცა ის უფლებამოსილს ხდის, რომ გააკეთოს ზემოაღნიშნული. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტები ხშირად სოციალური საწარმოების მომხმარებლები ხდებიან. მათ შეუძლიათ მიიღონ (შეიძინონ) სხვადასხვა სერვისი სოციალური საწარმოებისაგან. ლატვიაში მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ სოციალური საწარმოს თანამფლობელებიც იყვნენ (კანონით გათვალისწინებულ რიგ შემთხვევებში).

გარდა საჯარო უწყებებისა და ზემოთ ნახსენები ინსტიტუტებისა, არსებობს სხვადასხვა ორგანიზაცია და ქსელი, რომლებიც ლატვიაში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობენ. არსებობს ლატვიის სოციალური მეწარმეობის ასოციაცია (SEAL). ორგანიზაციის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარება და პოპულარიზაცია ქვეყანაში. ის სოციალური მეწარმეობის ხელისშემწყობი გარემოს ადვოკატირებასაც ახორციელებს; იცავს სოციალური საწარმოების ინტერესებს, თანამშრომლობს ამ მიმართულებით სათანადო პოლიტიკის შემქნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. ასოციაციამ შექმნა ლატვიის რეგიონების სოციალური საწარმოების ელჩების ქსელი.⁶² ლატვიის სოციალური მეწარმეობის ასოციაცია ყოველწლიურად მართავს საკმაოდ ამბიციურ და მასშტაბურ ღონისძიებას - სოციალური მეწარმეობის ფორუმი. ლატვიაში ოპერირებს ორგანიზაცია „NewDoor“,⁶³ რომელიც ხელს უწყობს სოციალური ბიზნესის მხარდაჭერასა და სოციალური საწარმოებისათვის სათანადო გარემოს განვითარებას.

ლატვიის რეგიონებში აქტიურად ფუნქციონირებენ ბიზნესინკუბატორები, რომლებიც სოციალურ საწარმოებს ბიზნესიდეების განვითარებაში უჭერენ მხარს.

ესტონეთის მსგავსად, აკადემია ლატვიაშიც აქტიურადაა ჩართული სოციალური მეწარმეობის განვითარებისა და პოპულარიზაციის პროცესში. საგანმანათლებლო ინსტიტუტები ქმნიან სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ კურსებს, კვლევით შესაძლებლობებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს. აკადემიურ ინსტიტუტებთან ერთად ორგანიზაციებიც აქტიურად

⁶² Social Entrepreneurship Association of Latvia, available at: <https://sua.lv/en/who-we-are/>

⁶³ International Social Entrepreneurship Accelerator - NewDoor, available at: <https://newdoor.lv/about>

მუშაობენ ამ მიმართულებით - სოციალურ საწარმოებს სთავაზობენ კონსულტაციებს, ტრენინგებს და ა.შ.

2.4 პოლონეთი - სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა

ზოგადი მიმოხილვა

პოლონეთმა სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა თავდაპირველად 2014-2018 წლებში შეიმუშავა და შემდგომ 2019-2020 წლებში განაახლა.⁶⁴ იგი წარმოადგენს ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტს, რომლის განხორციელებაზე უშუალო პასუხისმგებლობა შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობით მინისტრთა კაბინეტს ევალება. დოკუმენტი 2011 წელს შეიმუშავდა (ევროპა 2020 სტრატეგიის ფარგლებში), რომელიც სტრუქტურული რეფორმებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად ახლდება და ანგარიშს აწვდიან ევროკომისიას. ევროპა 2020 სტრატეგიის ჰარმონიზაციისათვის წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ეროვნული რეფორმის პროგრამები,⁶⁵ რომლებშიც კონკრეტული ინდიკატორები განსაზღვრეს. წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან, განახორციელონ შესრულების მონიტორინგი 5 ძირითად ინდიკატორთან მიმართებით, რომლებიც ევროპა 2020 სტრატეგიის მიერაა განსაზღვრული. წევრი ქვეყნები ადგენენ ეროვნულ სამიზნეებს, რომელთა მიღწევის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშგებას აწარმოებენ. პოლონეთის მიერ განსაზღვრული ინდიკატორები შემდეგია:

- 71% დასაქმების მაჩვენებელი მოსახლეობის 20-64 ასაკობრივ კატეგორიაში;
- მთლიანი შიდა პროდუქტის 1.7% ხარჯვა განვითარებასა და კვლევაში (R&D);
- პირველადი ენერჯის წყაროების მოხმარების შემცირება 96 მეგატონამდე (Mtoe);
- 4.5%-მდე შემცირება იმ მოსწავლეებისა, რომლებიც სკოლას არ ამთავრებენ და 45%-იანი მატება 20-34 ასაკობრივ კატეგორიაში უმაღლესდამთავრებულებისა;
- სიღარიბეში მყოფი და სოციალურად გარიყული მოსახლეობის რაოდენობის შემცირება 1.5 მილიონით.

პოლონეთის სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა სწორედ ევროპა 2020 სტრატეგიის კონტექსტშია დანახული. დოკუმენტი კომპლექსურია და მოიცავს სხვადასხვა საკითხს: აქტიური მოქალაქეობა, საკანონმდებლო ჩარჩო, ფინანსური მექანიზმები, კოორდინაციის საშუალებები, განათლება. ის მონაწილეობითი მიდგომით შემუშავდა, რომელშიც სახელმწიფოს მხრიდან ჩართული იყო სხვადასხვა სამინისტრო სექტორების მიხედვით - ჯანდაცვა, შრომა, გარემო, სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობები, სოციალური ეკონომიკის სექტორის წარმომადგენლები და ა.შ.; შეიმუშავებისას 4 ძირითადი სამუშაო ჯგუფი არსებობდა: სტრატეგიული, საკანონმდებლო, ფინანსური და საგანმანათლებლო. 2012-2013 წლებში მოეწყო სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვები.⁶⁶

⁶⁴ National Programme for Social Economy Development, Republic of Poland, Warsaw, 2014

⁶⁵ National Reform Programme Strategy Europe 2020, Update 2014/2015 (KPR 2014/2015), Adopted by the Council of Ministers

⁶⁶ National Programme for Social Economy Development, Briefer, available at: <http://www.klon.org.pl/x/1627367>

ზოგადი მიზნები

სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა სამთავრობო დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ინტერვენციების ძირითად მიმართულებებს სოციალური ეკონომიკისა და სოციალური საწარმოების განვითარებისათვის ქვეყანაში. იგი ძირითადად ეხება საჯარო ინსტიტუციებს, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ კონკრეტული მექანიზმები და პოლიტიკები იმ ადამიანებისათვის, რომლებიც სოციალური ეკონომიკის სექტორს წარმოადგენენ. ეს აქტივობები მხარდაჭერილი იქნება ევროკავშირისა და ეროვნული საბიუჯეტო სახსრებით.

ძირითადი დეფინიციები

სოციალური ეკონომიკა განიხილება „სოლიდარობის ეკონომიკადაც“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინის შეჯერებული დეფინიცია ჯერ კიდევ არ არსებობს და თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა. ამ დოკუმენტისათვის სოციალური ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია:

- თემის წევრებისათვის მომსახურების მიწოდების უპირატესობა მოგებაზე;
- ავტონომიური მართვა;
- დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
- ადამიანებისა და შრომის უპირატესობა კაპიტალზე, მოგების განაწილების თვალსაზრისით.

დოკუმენტი კიდევ უფრო ჰოლისტურად უყურებს სოციალური ეკონომიკის სექტორს და განიხილავს მას ფართო კონტექსტის ნაწილად. შესაბამისად, დოკუმენტში ნათქვამია, რომ სოციალური ეკონომიკის იდეა უნდა გაერთიანდეს მონაწილეობითი დემოკრატიისა და სოციალური კაპიტალის განვითარების სფეროში. აქ ანალიზის ორი დონე იკვეთება: **ინდივიდუალური დონე**, რომელიც ხელს უწყობს კონკრეტულ ინდივიდებს დასაქმებასა და სოციალურ ინტეგრაციაში; **სოციალური დონე**, რომელიც ადგილობრივ სტრუქტურებს უკავშირდება და გულისხმობს სოციალური ეკონომიკის აქტივობებით სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობასა და მოქალაქეების ნდობის გაზრდას საჯარო ინსტიტუტების მიმართ. მეორე მიმართულება, რომლის ნაწილადაც მოიაზრება სოციალური ეკონომიკა, დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაა; მესამე უკავშირდება სოციალურ ინტეგრაციას; ხოლო მეოთხე - ადგილობრივი თემის განვითარებას.

სოციალური ეკონომიკა არის სამოქალაქო აქტივობის არეალი, სადაც ეკონომიკური და საჯარო ინტერესი ერთობლივად ხელს უწყობს სოციალური მარგინალიზაციის ზღვარზე მყოფი ადამიანების პროფესიულ და სოციალურ ინტეგრაციას, სამუშაო ადგილების შექმნას, საზოგადო ინტერესის გათვალისწინებით სოციალური სერვისების მიწოდებასა და ადგილობრივ განვითარებას.⁶⁷

სოციალური ეკონომიკის აქტორები შესაძლოა 4 ჯგუფად⁶⁸ დავალაგოთ:

1. სოციალური საწარმოები, რომლებიც სოციალური ეკონომიკის ფუნდამენტს წარმოადგენენ;
2. რეინტეგრაციის ორგანოები - მათი უფლებამოსილებაა ადამიანების სოციალური და პროფესიული რეინტეგრაციის ხელშეწყობა. აქ შეგვიძლია მოვიაზროთ სოციალური

⁶⁷ National Programme for Social Economy Development, Republic of Poland, Warsaw, 2014

⁶⁸ Ibid. pg. 16

კლუბები, ასოციაციები, სოციალური ინტეგრაციის ცენტრები, პროფესიული გაერთიანებები, ოკუპაციური თერაპიის ვორქშოფები და სხვ. ესენი თავისი ბუნებით ვერასდროს იქნებიან სოციალური საწარმოები, თუმცა მათ შესაძლოა მოამზადონ ინდივიდები სოციალური მეწარმეობისათვის;

3. საჯარო სარგებლის/ინტერესის მქონე ორგანიზაციები, რომლებიც ბიზნესსაქმიანობას ეწევიან და ასაქმებენ ადამიანებს. ასეთები არიან, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ შეუძლიათ გახდნენ სოციალური საწარმოები, შეასრულონ კონკრეტული პროცედურები და ვალდებულებები, გადავიდნენ სრულად ეკონომიკურ საქმიანობაზე მოგების განაწილების ნორმის დაცვით;
4. ეკონომიკური აქტორები - ის ორგანიზაციები, რომელთა პროფილში განსაზღვრულია სოციალური სარგებლის მოტანა. ასეთები შესაძლოა იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, კოოპერატივები, რომლებიც ხელს უწყობენ დასაქმებას, სხვა ტიპის კოოპერატივები, რომლებიც საერთო სარგებლის მოტანაზე არიან ორიენტირებულნი.

სოციალური საწარმოების ძირითადი მახასიათებლები:

- სოციალური საწარმო არის ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა განსხვავებული ანგარიშგებითა და მართვის სტილით;
- მათი ეკონომიკური საქმიანობის მიზანია სოციალური გარიყულობის ზღვარზე მყოფი ადამიანების სოციალური და პროფესიული ინტეგრაცია (აუცილებელია, დასაქმებულთა 50%-ს შეადგენდეს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები ან 30%-ს შედარებით საშუალო ან მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები), ან სოციალური სერვისების მიწოდება საზოგადო ინტერესის გათვალისწინებით; იმავდროულად, ისინიც ასრულებენ პროდასაქმების ამოცანებს (დასაქმებულთა მინიმუმ 20%-ს უნდა წარმოადგენდნენ სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები);
- ისინი არ ანაწილებენ მოგებას დაინტერესებულ მხარეებს შორის. ნაცვლად ამისა, ეს ფული გამოყენებულია საწარმოს პოტენციალის გასაზრდელად. მიღებული შემოსავალი მიემართება პროფესიული და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისაკენ ან საზოგადო სიკეთისათვის, იმ ადგილობრივი თემის დასახმარებლად, სადაც საწარმო ფუნქციონირებს;
- სოციალური საწარმოები იმართება დემოკრატიულობის პრინციპების დაცვით. მინიმუმ უზრუნველყოფილია კონსულტაციის პრინციპები და თანამონაწილეობა დასაქმებულების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ანაზღაურება მენეჯერულ პოზიციებზე მყოფი ადამიანებისა შეზღუდულია;
- სოციალური საწარმოს სტატუსის მოპოვება შესაძლებელია რეგულაციების დაკმაყოფილების შემთხვევაში. რეგისტრაციის გავლა აუცილებელია ეროვნულ სასამართლო რეგისტრატურაში (National Court Register).⁶⁹

დოკუმენტში ვრცლადაა მოცემული სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა სექტორში (სამოქალაქო სექტორი, კოოპერატივები, სოციალური კოოპერატივები, რეინტეგრაციის ორგანიზაციები და ა.შ.) არსებული ორგანიზაციებისა, მათ მიერ დასაქმებული ადამიანების

⁶⁹ Ibid. pg. 17

რაოდენობისა, მათ მიერ წარმოებული ფინანსური რესურსებისა (მშპ-ის 1.5%), სახელმწიფო მხარდაჭერის გამზომავი ინდიკატორები და სხვ.

პროგრამის მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტები

მთავარი ამოცანა: 2020 წლისათვის სოციალური ეკონომიკის სუბიექტები მოწყვლადი ჯგუფების შრომის ბაზარზე გააქტიურების მნიშვნელოვანი ელემენტები გახდებიან. ისინი უზრუნველყოფენ სოციალური სერვისების მიწოდებასაც, რომლებიც ადგილობრივი მთავრობის მხრიდან იქნება მოთხოვნილი.

ოპერაციული მიზნები: 1. პასუხისმგებლიანი საზოგადოების/თემის განვითარება - სოციალური ეკონომიკის სუბიექტების როლის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე; 2. ხელსაყრელი გარემო - სოციალური ეკონომიკის სუბიექტებისათვის შექმნილია მეგობრული გარემო მათი სამომავლო განვითარებისათვის; 3. მართვა/ლიდერშიფი - სოციალური ეკონომიკა საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია; 4. უნარები - სოციალური ეკონომიკის ცნება სრულად გააზრებულია საზოგადოების მიერ.

პრიორიტეტული მიმართულებები:

პირველი პრიორიტეტი: უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ადგილობრივ დონეზე განხორციელდეს სოციალური პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა. უფრო მეტიც, სოციალური სერვისების მიწოდების ეფექტურობისათვის უნდა ჩატარდეს საჯარო კონსულტაციები, სამოქალაქო სექტორსა და ადგილობრივ მთავრობას შორის უნდა გაუმჯობესდეს სოციალური დიალოგი. ამ ზოგადი ვარაუდით, შემუშავდება გარკვეული პროცედურები, როგორებიცაა: ადგილობრივი ინიციატივის განხორციელების პროცედურები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 80% -ში; ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების პროცედურები, რომლებიც ადგენენ შედარებულ მონაცემებს. ეს საშუალებას იძლევა, შეიქმნას სოციალური პოლიტიკის პროგრამები ადგილობრივ დონეზე, რათა გაიზარდოს სოციალური დასაქმება. გარდა ამისა, შეიქმნება ახალი დასაქმების შესაძლებლობები სოციალური ეკონომიკის სუბიექტებში, მათ შორის, 10 ათასი სამუშაო ადგილი ახალგაზრდებისათვის, 10 ათასი - 50 წლამდე ასაკის ადამიანებისათვის, 20 ათასი - სოციალურ მომსახურებასთან, განსაკუთრებით, ზრუნვასა და ოჯახურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საწარმოებში.

მეორე პრიორიტეტი ახალი სოციალური საწარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა, რაც, გარდა სოციალური ეკონომიკის სფეროში უფრო ეფექტური რეგულაციების მიღებისა, მოიცავს, მაგალითად, სოციალური კოოპერატივების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას, იმავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების რეფორმებს ევროკავშირის ახალ დირექტივებთან მიმართებით - პოლონეთი გეგმავს, გააუმჯობესოს ზედამხედველობა იმისა, თუ როგორ მოქმედებს ეს რეგულაციები პრაქტიკაში.

მესამე პრიორიტეტი: ახალი სოციალური სუბიექტების შექმნის გაადვილება არ კმარა და საჭიროა შესაბამისი ფინანსური და ინფრასტრუქტურული დახმარება, რაც ამ ეტაპზე საკმარისი არ არის. მაგალითად, სესხებზე წვდომის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. იგი მიზნად ისახავს დახმარების სისტემების შექმნას სპეციფიკური სოციალური საწარმოებისათვის.

მეოთხე პრიორიტეტი: ეს პრიორიტეტი გულისხმობს საზოგადოებრივი პოლიტიკის კოორდინაციის სისტემის შექმნას სოციალურ ეკონომიკასთან დაკავშირებით ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებით დაგეგმილია: რეგიონული პროგრამების განხორციელება სოციალური ეკონომიკისათვის ყველა ვოივოდაში (voivodship), სოციალური ეკონომიკის კვლევის ერთიანი სისტემის შექმნა, მესამე სექტორისა და სოციალური კაპიტალის სფეროში საჯარო სტატისტიკის კვლევის შემუშავება სტრატეგიის ვარაუდების გათვალისწინებით და სოციალური საწარმოების პალატის შექმნა, რომელიც თავს მოუყრის სოციალური საწარმოების წარმომადგენლებს.

მეხუთე პრიორიტეტი: ეს დაკავშირებულია განათლებასთან და მისი მთავარი მიზანია საზოგადოებაში სოციალური ეკონომიკის ცნობიერების დონის ამაღლება. ღონისძიებები, რომლებიც ჩატარდება, გვთავაზობს ბაკალავრიატის სწავლებას სოციალურ ეკონომიკაში მინიმუმ 16 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, წელიწადში სულ მცირე 3 პროექტის განხორციელებას პოლონეთის სოციალური ეკონომიკის აზრის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის მინიმუმ 12 რეგიონული ჭრილით. ახალგაზრდული ფონდების შექმნა, რომლებიც დახმარებას გაუწევს ახალგაზრდების ჯგუფებს სოციალური საწარმოების სფეროში.

2.5 ხორვატია - სოციალური მეწარმეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია

ზოგადი მიმოხილვა

სოციალურ საწარმოებთან დაკავშირებული საკითხები ხორვატიაში განსაკუთრებულ აქტუალობას 2005 წლიდან იძენს. ამ პერიოდში საერთაშორისო საზოგადოების გავლენით ქვეყანაში კონცეფცია ინტენსიურად მკვიდრდება. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშეს საერთაშორისო დონორებმა და ორგანიზაციებმა, მათ შორის, ევროკავშირმა. ხორვატიაში (ისევე, როგორც ესტონეთში) სოციალური მეწარმეობა კანონით არ არის დარეგულირებული, თუმცა არსებობს დე ფაქტო სოციალური საწარმოები და მათი ხელშემწყობი პოლიტიკის დოკუმენტები. მათ შეუძლიათ იარსებონ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით.

სოციალური მეწარმეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია⁷⁰

ხორვატიაში ეროვნულ დონეზე არსებობს სოციალური მეწარმეობის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2015-2020. სტრატეგია მიზნად ისახავს ხორვატიაში სოციალურ საწარმოთა

⁷⁰ Boosting Social Enterprise Development, Good Practice Compendium, OECD, available at: <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264268500-7-en.pdf?expires=1587906190&id=id&accname=guest&checksum=F947E592C8C34C9FD732F0C84B0D29C1>

განვითარებას, ამისათვის საჭირო სააარსებო გარემოსა და სათანადო პოლიტიკის შექმნას. შრომისა და საპენსიო სისტემის სამინისტრომ შეიმუშავა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ხორვატიის მთავრობამ 2015 წელს დაამტკიცა. მისი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ხორვატიაში სოციალურ საწარმოთა შექმნასა და განვითარებას, ინსტიტუციური და ფინანსური გარემოს შექმნას, რომელიც აღნიშნულს აქტიურად შეუწყობს ხელს. აღსანიშნავია თავად დოკუმენტის შექმნის პროცესი, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა ე.წ. „bottom-up“ მიდგომას. ხელისუფლებასთან ერთად მასში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები. დოკუმენტში სოციალური საწარმო ამოიცნობა 9 კრიტერიუმით. გარდა ამისა, სტრატეგიაში განსაზღვრულია ის ძირითადი მიმართულებები და აქტივობები, რომლებიც მთლიანობაში მიზნად ისახავს სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას. დოკუმენტის მიზნებს შორის არის შემდეგი:

- 1) საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავება და გაუმჯობესება;
- 2) სათანადო ფინანსური ჩარჩოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური მეწარმეობის განვითარებას;
- 3) სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა განათლების გზით;
- 4) სოციალური საწარმოების ხილვადობის ზრდა.

სტრატეგიის პრაქტიკაში დანერგვის პროცესიც მრავალფეროვანი აქტორების ჩართულობას მოიაზრებს - ამ პროცესში ჩართული არიან როგორც სამინისტროები (ცენტრალური ხელისუფლება სათანადო ინსტიტუტებით), ისე ადგილობრივი მთავრობები, ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სააგენტოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სოციალური საწარმოები, ფინანსური ინსტიტუტები და აკადემია.

სტრატეგია შეიმუშავა ხორვატიის შრომისა და საპენსიო სისტემის სამინისტრომ და 2015 წლის აპრილში დაამტკიცა ხორვატიის მთავრობამ. სამინისტრო, რომელიც მართავს ევროპის სოციალურ ფონდს, უწევს კოორდინირებას სტრატეგიის იმპლემენტაციასაც. ამ მიმართულებით შექმნილია სპეციალური დეპარტამენტიც. სტრატეგიის მნიშვნელოვან პარტნიორებს წარმოადგენენ სოციალური პოლიტიკისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მეწარმეობის სამინისტრო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო სააგენტო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეროვნული ფონდი, ხორვატიის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრო, სხვადასხვა საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტი, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, სოციალური საწარმოები, მედია და ა.შ.

სტრატეგია ითვალისწინებს სოციალური მეწარმეობის განვითარების საბჭოს შექმნას, რომელიც შეითავსებს მრჩეველთა საბჭოს როლს მონიტორინგისა და განხორციელების პროცესთან მიმართებით. საბჭოს წევრებს დანიშნავს მთავრობა. ისინი იქნებიან სამთავრობო ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სოციალური საწარმოების, ფინანსური ინსტიტუტებისა და აკადემიის წარმომადგენლები, რომლებიც რეგულარულად შეხვდებიან და იმსჯელებენ იმ პრობლემებზე, რომლებიც აქტიურად დგება სოციალური საწარმოების დღის წესრიგში. საბჭოს წევრები განიხილავენ აღნიშნულ საკითხებს და შეიმუშავებენ სტრატეგიულ რეკომენდაციებს შემდგომი განვითარების მიზნით.

სტრატეგიისათვის გათვლილი ფინანსური რესურსი მიმართულია სოციალური საწარმოების ფინანსური ინსტრუმენტის გაუმჯობესებაზე, რომელიც გაიცემა საგრანტო ფორმით. ფინანსური რესურსი მიმართულია რამდენიმე პრიორიტეტულ საკითხზეც - საგანმანათლებლო აქტივობები, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება და სექტორისათვის საზოგადოებრივი ხილვადობის გაზრდა.

დოკუმენტში მთავარ ამოცანებად დასახელებულია სოციალური საწარმოების მხარდამჭერი გარემოს შექმნა ხორვატიაში, რეგიონული უთანასწორობის შემცირება, დასაქმების გაზრდა და სოციალური დოვლათის თანაბარი გადანაწილება.

დეფინიციები:

სტრატეგია განსაზღვრავს სოციალურ საწარმოებს, როგორც „ბიზნეს“, რომლებიც დაფუძნებულია სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მდგრადობის პრინციპებზე, სადაც მთლიანი მოგების ან მისი დიდი ნაწილის ინვესტიცია იდება თემისათვის/საზოგადოების სასარგებლო საქმიანობაში.

ზემოხსენებული ამოცანებიდან გამომდინარე, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ფუნდამენტურად მნიშვნელოვან რამდენიმე მიმართულებაზე, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალური მეწარმეობისათვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებას:

- 1) სოციალური საწარმოებისათვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების შემუშავება და გაუმჯობესება;
- 2) სოციალური საწარმოებისათვის სათანადო ფინანსური ჩარჩოს შექმნა, რომელიც მხარს უჭერს მათ განვითარებას;
- 3) სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობისა და როლის პოპულარიზაცია ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით;
- 4) ხორვატიაში სოციალური საწარმოების ხილვადობის გაზრდა.

სტრატეგიაში საუბარია პოლიტიკის რამდენიმე მიმართულებაზეც, მათ შორის, სოციალური საწარმოების მიერ საგრანტო სქემებით ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესახებ. ეს კი მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების სტიმულირების, ინოვაციური სოციალური სერვისებისა და პროდუქტების შექმნასაც. ამავე კონტექსტში დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე, ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტრენინგების ორგანიზებასა და კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობაზე.

სტრატეგიის განხორციელების პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური საწარმოების ოფიციალური რეესტრის შექმნას. სწორედ ეს სტრუქტურა ანიჭებს სოციალურ საწარმოს სათანადო სტატუსს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით.

ხორვატიაში „სოციალური საწარმოს“ სტატუსი ვალიდურია სამი წლის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე საწარმომ უნდა წარადგინოს წლიური საქმიანობისა და სოციალური გავლენის ანგარიშები. მან უნდა განაახლოს თავისი სტატუსი 3-წლიანი პერიოდის დასასრულს.

რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ სხვა მხარდამჭერ მექანიზმებსა და აქტორებს, განხილული ქვეყნებისგან გასხვაგვარად, ხორვატიაში არც ისე ბევრი ქსელია, რომლებიც კონკრეტულად სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე არიან ფოკუსირებული. 2009 წელს დაარსდა სოციალური მეწარმეობის ფორუმი (SEFOR).⁷¹ ამას გარდა, ხორვატიაში არსებობს არაფორმალური ქსელი - ხორვატიული სოციალური საწარმოების ქსელი, რომელიც აერთიანებს 20-მდე სოციალურ საწარმოს. ქვეყანაში ოპერირებს კარგი ეკონომიკის პლატფორმა, რომელიც ორიენტირებულია სოციალურ ეკონომიკაზე. პლატფორმა აქტიურად ცდილობს სოციალური საწარმოების ხილვადობის გარზდას. სხვა ქსელები უფრო არაპირდაპირ ზემოქმედებენ სოციალურ მეწარმეობაზე.

ხორვატიაში ამ მიმართულებით არსებობს რამდენიმე, სხვადასხვა ორგანიზაცია და ინიციატივა. ამ ორგანიზაციებს შორისაა ACT Group-ი,⁷² რომელიც კონკრეტული პროგრამებით უჭერს მხარს სოციალურ საწარმოებს. 2018 წლიდან ACT Group-მა შექმნა ინკუბატორი, რომელიც სოციალური საწარმოების ინიციატივებს აქტიურად ეხმარება. ორგანიზაციის პროგრამები გათვლილია როგორც უკვე დაარსებული სოციალური საწარმოების მხარდაჭერაზე, ისე ახალი ინიციატივების პრაქტიკაში განხორციელებაზე, სოციალური საწარმოების დაარსებაზე. ორგანიზაცია, ამ მხრივ, აქტიურად თანამშრომლობს საბანკო სექტორთან. ყველაფერთან ერთად, ის ბენეფიციარებს სთავაზობს „ბიზნესუნარების აკადემიას“, რომელიც სოციალურ მეწარმეებს საგანმანათლებლო მიმართულებით ეხმარება. საგანმანათლებლო პროგრამებს შორისაა SEEDplus Erasmus for Young (Social) Enterpreneurs. ხორვატია (ისევე, როგორც ესტონეთი და ლატვია) აქტიურად ცდილობს ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციას და არა მარტო პოპულარიზაციას, არამედ ცნობიერების ამაღლებასა და ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფას. სწორედ სამეწარმეო და ბიზნესუნარების განვითარებაზე მიმართული Impact Zagreb-ის პროგრამებიც.

სახელმწიფო სტრუქტურებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ის, რომ ხორვატიის შრომისა და პენსიის სამინისტრო მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით. სტრატეგიის შექმნასა და იმპლემენტაციაზეც პასუხისმგებელ ორგანოს სწორედ ეს კონკრეტული სტრუქტურა წარმოადგენს. ხორვატიაში სოციალური საწარმოების ფინანსური მხარდამჭერი მექანიზმებით უზრუნველყოფის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროკავშირი.

სახელმწიფო შესყიდვების აქტი არის დოკუმენტი, რომელიც განხილულ ქვეყნებში საკმაოდ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ეს ხორვატიაშიც აქტუალურია, რადგან დოკუმენტი კანონით შესაძლებელს ხდის, რომ სოციალური საწარმოები იყვნენ კონკრეტული სერვისების მიმწოდებლები საჯარო სტრუქტურებისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

⁷¹ Social Entrepreneurship Forum Croatia, available at:

<https://www.unicreditfoundation.org/en/programs/archivio/croazia-sefor.html>

⁷² ENSIE, available at: <http://www.ensie.org/our-focus-areas>

2.6 შოტლანდია - სოციალური მეწარმეობის ეროვნული სტრატეგია

ზოგადი მიმოხილვა

შოტლანდიამ 2016 წელს მიიღო სოციალური მეწარმეობის ეროვნული სტრატეგია 2016-2026.⁷³ სტრატეგიის შესავალში ნახსენებია, რომ დოკუმენტი აყალიბებს ყოვლისმომცველ, ამბიციურ და გრძელვადიან პროგრამას სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარებისათვის შოტლანდიაში. იგი ნათლად აღწერს იმ გზებს, თუ როგორ უნდა წახალისდეს სოციალური მეწარმეობა, ჩამოყალიბდეს ძლიერი ორგანიზაციები და აითვისონ ბაზრის შესაძლებლობები ათწლიან პერსპექტივაში. სტრატეგია სოციალურ საწარმოებს ცენტრალური მნიშვნელობის აქტორად განიხილავს უფრო სამართლიანი და ინკლუზიური ეკონომიკის მიღწევისათვის. სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებულია 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები,⁷⁴ რომელშიც მონაწილეობდა 1,100 სოციალური საწარმო⁷⁵ (დაახლოებით, 22% სოციალური საწარმოების საერთო რაოდენობისა) და რომელიც შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე შეიქმნა. ამასთანავე, დოკუმენტი ეყრდნობა იმ ამბიციებს, რომლებიც მოცემულია სოციალური საწარმოების სექტორის მიერ შემუშავებულ ხედვაში.⁷⁶ სტრატეგიაში ნათქვამია, რომ მას თან დაერთვება სამწლიანი სამოქმედო გეგმები. მათში უფრო დეტალურად იქნება აღწერილი ის ვალდებულებები, ინიციატივები და პროგრამები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა განხორციელდეს.

დეფინიცია

სტრატეგიული დოკუმენტი სოციალური საწარმოს ცნებას შემდეგნაირად განმარტავს:

„სოციალური საწარმოები მოქმედებენ საერთო, საზოგადო სიკეთისათვის. ისინი ეხებიან სოციალურ საჭიროებებს, აძლიერებენ ადგილობრივ თემს, აუმჯობესებენ ადამიანების კეთილდღეობასა და ზრუნავენ გარემოზე“.⁷⁷

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სოციალური საწარმოები მრავალი სახისაა, მათ შორის: დემოკრატიულ პრინციპებსა და წევრობაზე დაფუძნებული ან საქველმოქმედო საწარმოები, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესორგანიზაციები და ა.შ., რომლებიც არიან იმ გლობალური მოძრაობის ნაწილი, რომელსაც სოციალური ეკონომიკა წარმოადგენს.

თვითრეგულირების მექანიზმი - კოდექსი

აქვე აღსანიშნავია, რომ შოტლანდიაში არსებობს სოციალური საწარმოების საქმიანობის ნებაყოფლობითი კოდექსი, რომელსაც ამჟამად 1079 სოციალური საწარმო ჰყავს ხელმომწერად.⁷⁸ ეს

⁷³ Scotland's Social Enterprise Strategy 2016-26, Scottish Government, 2016

⁷⁴ Social Enterprise in Scotland: Census 2015, available at: <https://socialenterprisecensus.org.uk/wp-content/themes/census19/pdf/2015-summary.pdf>

⁷⁵ Voluntary Code of Practice of Social Enterprise in Scotlad, available at: <https://www.se-code.net/the-code/the-criteria/>

⁷⁶ Scotland's Vision for Social Enterprise 2025, Summary Document, available at: <https://socialenterprise.scot/cms/wp-content/uploads/2019/05/80afcd239.pdf>

⁷⁷ Scotland's Social Enterprise Strategy 2016-26, Scottish Government, 2016

⁷⁸ Voluntary Code of Practice of Social Enterprise in Scotlad, available at: <https://www.se-code.net/the-code/>

კოდექსი სოციალური საწარმოების თვითრეგულირების მექანიზმია და მოიცავს 5 ძირითად კრიტერიუმს, რომლებიც აღიარებულია მისი ხელმძღვანელი ორგანიზაციების მიერ. ესენია:

1. სოციალური საწარმო არის ბიზნესი - ჰყიდის მომსახურებას ან პროდუქციას - თუმცა მისი უმთავრესი მიზანია, მიაღწიოს სოციალურ ან/და გარემოსდაცვით სარგებელს. სოციალური საწარმოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით, შესაძლოა იყოს საქველმოქმედო ან მოხალისეობრივი ორგანიზაციები, რომლებიც არ ესწრაფვიან ფინანსურ დამოუკიდებლობას ვაჭრობის გზით;
2. მიუხედავად მისი იურიდიული ფორმისა, სოციალური საწარმოების კონსტიტუცია დგას იმ ვალდებულებაზე, რომ მოგების რეინვესტირება ხდება ბიზნესში ან ბენეფიციარების საკეთილდღეოდ და არ ნაწილდება კერძო მფობელებზე, სტეიკჰოლდერებსა თუ ინვესტორებზე;
3. კონსტიტუცია მოითხოვს, რომ სოციალურმა საწარმომ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საკუთარი ქონების რეინვესტირება მოახდინოს სხვა ორგანიზაციაში, რომელსაც მსგავსი მიზნები და ამოცანები აქვს. მეორე და მესამე კრიტერიუმი ერთად წარმოადგენს ე.წ. „აქტივების ჩამკეტს“ (asset lock), რომელიც სოციალური საწარმოს განმსაზღვრელი მახასიათებელია და განასხვავებს მას კერძო სექტორისაგან;
4. სოციალური საწარმო იმართება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გზით, განსაკუთრებით, იმ საზოგადოების წინაშე, რომელსაც ემსახურა;
5. სოციალური საწარმოები განსხვავდება საჯარო სექტორისგან და არ შეიძლება იყოს საჯარო ორგანოზე დაქვემდებარებული.

კოდექსი მოიცავს იმ ძირითად ღირებულებებსაც, რომლებსაც სოციალური საწარმოები უნდა ეფუძნებოდეს: ა) ღირებულებებზე დაფუძნებული ბიზნესი - სოციალური და ეკოლოგიური მიზნებით; ბ) კარგი დამსაქმებლები - ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა და სამართლიანი სახელფასო პოლიტიკა, მაქსიმუმ 1:5 სხვაობით ყველაზე მაღალ და დაბალ რგოლს შორის; გ) დემოკრატიული - საერთო საკუთრება და დემოკრატიული მართვა; დ) გამლიერება - სოციალური პრობლემებისადმი ქვემოდან ზემოთ მიდგომების გამოყენება; ე) თანამშრომლობა - კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასთან ერთად თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის მუდმივი მზადყოფნა.

ძირითადი ფაქტები:

შოტლანდიაში 5000-მდე სოციალური საწარმო ფუნქციონირებს. უმრავლესობა მათგანი ურბანულ ცენტრებში ოპერირებს. სოციალური საწარმოების დაახლოებით ერთი მესამედი დაფუძნებულია სოფლად. საშუალოდ, ყოველი ხუთიდან სამი სოციალური საწარმოს წლიური ბრუნვა 100,000 ფუნტ სტერლინგს აღწევს. დიდწილად ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სოციალური და ჯანმრთელობის დაცვა. 2015 წელს სოციალური საწარმოების მიერ შექმნილმა შემოსავალმა ჯამში მიაღწია 1.15 მილიარდ ფუნტ სტერლინგს. სოციალურ საწარმოებში დასაქმებულია 112,409 ადამიანი. სოციალური საწარმოების 45% დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ოპერირებს. მათი 60%-ის ხელმძღვანელი ქალია. სახელფასო განაკვეთებს შორის განსხვავება ყველაზე მაღალ და დაბალ რგოლს შორის 1:2,5-ია. სოციალური საწარმოების 61% საჯარო სერვისებს უწევს მომხმარებლებს. 10-დან ყოველი 9 საწარმო საქონლისა და პროდუქციის

წარმოებაშია ჩართული. სოციალური საწარმოების 14% ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მოქმედებს. სოციალური საწარმოების 7% საერთაშორისო დონეზე ოპერირებს.

მომავლის ტენდენციები

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საწარმოების განვითარება, ძირითადად, დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, მთავრობის კონკრეტულმა პოლიტიკებმა და ქმედებებმა შესაძლოა პოზიტიური გავლენა იქონიოს სოციალურ საწარმოებზე.

პოლიტიკური მიმართულება

საარსებო გარემოს უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე: იურიდიული და პოლიტიკური გადაწყვეტილებები ახალ საბაზრო შესაძლებლობებს გაუხსნის სოციალურ საწარმოებს, ბავშვთა დაცვის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, მიწის საკუთრების, ტრანსპორტისა და სხვა მიმართულებით. ახალი გზების მოძიება სოციალური საწარმოების დასაფინანსებლად და მათი შესაძლებლობების გასაზრდელად მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ბაზრის შესაძლებლობების კაპიტალიზაცია.

საჯარო სერვისები მომავალში: გრძელვადიან პერსპექტივაში საჯარო სერვისების რეფორმა ითვალისწინებს ლოკალიზებას, პრევენციასა და პერსონალიზაციას საჯარო სერვისებისა. სოციალური საწარმოების შესაძლებლობები შესაბამისად უნდა გაიზარდოს, რათა მათ უპასუხონ ახალ საჭიროებებს საჯარო სექტორის შესყიდვებისა და აღსრულების შესაბამისად.

სუბსიდირება: ადგილობრივი დაგეგმვა, მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ადგილობრივი თემის გაძლიერება არის ის ტრენდი, რომელიც ახლა აქტუალურია. საჭიროა შემდგომი ნაბიჯები და შრომა, რათა სერვისები ადგილობრივ დონეზე იყოს უზრუნველყოფილი, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო გაძლიერებული და ბიზნესსაქმიანობაში ჩართული.

სოციალური მიმართულება

დემოგრაფიული ცვლილებები: მოსახლეობის დაბერება და მოსახლეობის ცვლილება დიდ წნეხს წარმოშობს სერვისების მიმართულებით. ინოვაცია, კრეატიულობა და თანამშრომლობა საჭიროა ახალი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მუდმივი უთანასწორობა: გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები კვლავ დარჩება და, სავარაუდოდ, გაიზრდება. მეწარმეთა ლიდერობითა და ინოვაციურობით ტრანსფორმაციული ცვლილებები შესაძლებელია.

ახალგაზრდების გავლენა: ახალგაზრდა თაობა გააჩენს პროგრესულ ღირებულებებსა და ახალ მოლოდინებს საზოგადოების, ბიზნესისა და ცხოვრებისადმი. ეს დაეხმარება სოციალური მეწარმეობის სექტორს განვითარებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოახერხებს ახალგაზრდების შთაგონებასა და ჩართვას საკუთარ საქმიანობაში.

ეთიკური მოხმარება: უკეთესად ცხოვრების სურვილი, უფრო მდგრადი მოხმარება ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებას შეუწყობს ხელს მომავალში. ეს გაზრდის სექტორის წარმადობასაც, თუ სექტორი სათანადოდ უპასუხებს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

ეკონომიკური მიმართულება

ბალანსირებული ეკონომიკა: განგრძობადი, გრძელვადიანი პრიორიტეტი მიიღწეს უფრო ბალანსირებული ეკონომიკა დივერსიფიცირებული ბაზით. ეს მოიაზრებს სოციალური მეწარმეობის გაძლიერებას, სოციალური საწარმოების ფორმირების მაჩვენებლის ზრდასა და ახალი მრავალფეროვანი ბიზნესსაკუთრების წახალისებას.

მიზანზე დაფუძნებული ბიზნესი: დიდი ალბათობით, უფრო მეტი კომპანია დაიწყებს სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების შესრულებას, სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული სტრატეგიების გამოყენებას და მიიღებენ ჰიბრიდულ ფორმებს. ეს დიდ შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა ფორმის ეთიკურ ბიზნესს ორმხრივი სარგებლის მისაღებად.

მასშტაბი თანამშრომლობის გავლით: მზარდ კონკურენტულ და ბუნდოვან ბაზარზე მასშტაბი შესაძლოა იყოს როგორც სიძლიერე, ისე სისუსტე. სოციალური საწარმოებისათვის მასშტაბისა და გავლენის გაზრდა შესაძლოა პარტნიორობით უმჯობესი იყოს, ვიდრე - ორგანიზაციის ზრდის სტრატეგიით. თანამშრომლობა, რეაპლიკაცია და ფრენჩაიზინგი მთავარი ფოკუსი უნდა გახდეს.

ტექნოლოგიური მიმართულება

გაციფრულება: ახალი ტექნოლოგიები ბიზნესის ეფექტიანობას ზრდის. ისინი ცვლიან ჩვენს მუშაობასა და ინტერაქციას. ამით სოციალური საწარმოებისათვის უკეთესად ორგანიზების, სერვისების მიწოდებისა და მომხმარებელამდე მისვლის შესაძლებლობა იქმნება.

უფრო დაკავშირებული: სოციალური ტექნოლოგიები რეალურ დროში უკეთესი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა და ქმნის სოციალური საწარმოების კავშირების, თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ახალ შესაძლებლობებს.

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება: ტექნოლოგია ამარტივებს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და უფრო საჯაროს ხდის საქმიანობას. სოციალურმა საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ ზუსტი მონაცემების მიწოდება და კარგი მმართველობის, სოციალური გავლენისა და ანგარიშვალდებულების დემონსტრირება.

შოტლანდიის ეკონომიკური სტრატეგია და სოციალური მეწარმეობა

შოტლანდიის სოციალური მეწარმეობის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი სოციალური მეწარმეობის განვითარებას განყენებულად არ უყურებს და ერთიანი ეკონომიკური განვითარების ნაწილად მოიაზრებს. სოციალური საწარმოების როლი განსაკუთრებით მზარდია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის მიზანიც სწორედ უთანასწორობის შემცირება და ორმხრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფაა. სოციალური მეწარმეობის განვითარება პასუხობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად პრინციპებს: 1. ინკლუზიური ზრდის მიღწევა; 2. ღირსეული შრომის უზრუნველყოფა; 3. რეგიონული კოჰესია; 4.

უთანასწორობის შემცირება; 5. სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვა და სხვ.

ხედვა სოციალური საწარმოებისათვის

შოტლანდიის მთავრობა სოციალური მეწარმეობის სექტორთან აქტიურად მუშაობდა 10-წლიანი ხედვის ჩამოყალიბებისას. ამ სტრატეგიის შექმნაზე მუშაობისას საწყის მდგომარეობად განისაზღვრა თავად საწარმოების მიერ შემუშავებული ხედვა,⁷⁹ რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: ა) სოციალური საწარმოების რაოდენობა მზარდია და მეწარმეობა ერთგვარი ეროვნული მოძრაობა ხდება; ბ) მომავალი ათი წლის განმავლობაში სოციალური მეწარმეობა გახდება უფრო ფართოდ აღიარებული და მიღებული, დაიკავებს სკოლისა და უნივერსიტეტის კურიკულუმებს, გახდება კარიერული წინსვლის ადგილი ახალგაზრდებისათვის და სხვ.; გ) უფრო ხილული გახდება სექტორი, რაც გულისხმობს, რომ სოციალური მეწარმეობა შეიძენს ფართო პროფილს ქვეყნის მასშტაბით; დ) ათწლიან პერსპექტივაში იგი შეეხება უფრო მეტი ადამიანის ცხოვრებას - სოციალური საწარმოები მოქალაქეებს შესთავაზებენ უფრო მაღალკვალიფიციურ და მდგრად სერვისებს, რომლებითაც შეამცირებენ უთანასწორობას, დაძლევენ სიღარიბესა და ხელს შეუწყობენ მედეგი საზოგადოების მშენებლობას; ე) სოციალური საწარმოები შექმნიან სოლიდარულ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ქსელებს და გახდებიან შოტლანდიის ეკონომიკის პროდუქტიული ნაწილი; ვ) მომავალი ათი წლის განმავლობაში სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ბიზნესი გახდება ქვეყანაში წამყვანი, რაც შოტლანდიის საერთაშორისო რეპუტაციაზეც იმოქმედებს, ეროვნული იდენტობისა და სიამაყის სიმბოლოდ იქცევა.

სტრატეგიული ჩარჩო და პრიორიტეტები

დოკუმენტი სოციალური საწარმოების განვითარებისათვის სამ პრიორიტეტულ მიმართულებას განსაზღვრავს. ესენია:

1. სოციალური საწარმოების სტიმულირება, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) ადგილობრივი განვითარება; ბ) სოციალური მეწარმეობა და ინოვაცია; გ) სოციალური საწარმო განათლებაში; დ) ეროვნული აღიარება;
2. უფრო ძლიერი ორგანიზაციების განვითარება, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) სოციალური დაფინანსება; ბ) ბიზნესის მხარდაჭერა; გ) თანამშრომლობა; დ) ლიდერობის განვითარება; ე) სამუშაო ძალის განვითარება; ვ) სოციალური ღირებულების დემონსტრირება;
3. საბაზრო შესაძლებლობების ათვისება, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ა) საჯარო ბაზარი (public markets); ბ) მომხმარებელთა ბაზარი; გ) ბიზნესბაზარი;

პირველი პრიორიტეტი: სოციალური საწარმოების სტიმულირება

1.1. ადგილობრივი განვითარება: შოტლანდიის მთავრობა აღიარებს, რომ სოციალური საწარმოების უმრავლესობა ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებითა და აქტიური მოქალაქეების მეშვეობით იქმნება. განვითარების კუთხით ადგილობრივი თემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ზოგიერთი უფრო მეტად საჭიროებს დახმარებას შესაძლებლობების

⁷⁹ Building a New Economy: Scotland's Vision for Social Enterprise 2025, available at: <https://sencot.net/>

გამლიერებაში, პროფესიული უნარ-ჩვევების ზრდასა და ქსელური კავშირის დამყარებაში. შესაბამისად, მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მთავრობებისა და მესამე სექტორის თანამშრომლობის დახმარებით შეიქმნას ლოკალური სტრატეგიები ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით სოციალური მეწარმეობის მხადასაჭერად; შეიქმნას მხარდამჭერი ინფრასტრუქტურაც, სოციალური საწარმოების თანმიმდევრული რეპრეზენტაციის უზრუნველყოფით ადგილობრივ დონეზე; იმავდროულად, მოიაზრებს თანასწორობის ჯგუფების შექმნასა და ცნობიერების ამაღლებას კულტურული მრავალფეროვნების, უთანასწორობის, სექსუალური და სხვა ტიპის უმცირესობების შესახებ ადგილობრივ დონეზე;

- 1.2. სოციალური მეწარმეობა და ინოვაცია: მიზნობრივი პროგრამების განხორციელება ინდივიდუალური და კოლექტიური სოციალური მეწარმეობის სტიმულირებისათვის, ადგილობრივი მენტორებისა და წარმატებული საწარმოების მხარდი ქსელის შექმნა, სტარტაპების ეფექტური მხარდაჭერა. ეს მიმართულება მოიაზრებს საწყისი კაპიტალის ხელმისაწვდომობას სოციალური მეწარმეებისთვისაც, რომლებსაც სურთ, გამოსცადონ, დახვეწონ ან რეპლიკაცია გაუკეთონ საკუთარ იდეებს. ეს უფრო დიდი მიდგომის ნაწილია, რომელიც მოიაზრებს სოციალური საფინანსო ბაზრის შექმნას შოტლანდიაში. ინოვაციების მხარდაჭერისათვის წახალისებული იქნება ქოვორქინგ სივრცეები და შიდა წარმოება (Intrapreneurship) - სხვადასხვა ინსტიტუციურ გარემოში - საჯარო უწყებებში, უნივერსიტეტებსა და ფართო საქველმოქმედო ორგანიზაციებში;
- 1.3. სოციალური მეწარმეობა განათლებაში: ადრეული სწავლებისა და ბავშვთა დაცვის სფეროში, სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, იმავდროულად, არაფორმალურ განათლებაში სოციალური მეწარმეობის სწავლების ხელშეწყობა სხვადასხვა გზით;
- 1.4. ეროვნული აღიარება: ცნობიერების ამაღლება სოციალური მეწარმეობის კუთხით, რათა უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდეს ამ შესაძლებლობებით. ამასთანავე, სოციალური საწარმოების ბიზნესსაზოგადოების წევრად გახდომისათვის წახალისებული იქნება საქმიანობა, მეტი კავშირების ხელშეწყობა კერძო და სოციალურ ბიზნესს შორის და უფრო თანამშრომლობითი ბიზნესმოდელის ჩამოყალიბება. მთავრობის დონეზე გათვალისწინებული იქნება ალტერნატიული სერვისების მიწოდების მოდელები საჯარო სექტორის პროგრამების, სერვისების, პარტნიორობისა და ფონდების შემუშავებისას. იმავდროულად, საერთაშორისო ჩართულობის გასაზრდელად ეროვნულ დონეზე დამყარდება კულტურული, პოლიტიკური და სავაჭრო კავშირები სოციალური საწარმოების სფეროში.

მეორე პრიორიტეტი: უფრო ძლიერი ორგანიზაციების განვითარება

2.1. სოციალური ფინანსები: შოტლანდიის მთავრობა უკვე უზრუნველყოფს დაფინანსებას სოციალური საწარმოებისათვის. არსებობს შოტლანდიის საინვესტიციო ფონდი, რომელიც ახალისებს სოციალურ საწარმოებს და უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას. თუმცა ეს არ კმარა და საჭიროა სხვა ღონისძიებები. მთავრობა სოციალურ ინვესტორებსა და ბიზნესის მხარდამჭერ სააგენტოებთან ერთად სოციალური საწარმოებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე იმუშავებს. საგრანტო დაფინანსების მქონე ორგანიზაციებთან ერთად მთავრობა გეგმავს იმასაც, რომ ადეკვატური დაფინანსება იყოს ხელმისაწვდომი სოციალური მეწარმეებისათვის, რათა მათ

გამოსცადონ ახალი იდეები. საგრანტო დაფინანსებასთან ერთად მნიშვნელოვანია სესხებზე ხელმისაწვდომობა, იმავდროულად, შერეულ კაპიტალზე (blended capital) (გრანტები და სესხები), გათანაბრებით ინვესტიციაზე (equity-like investments) (revenue participation), ხანგრძლივადიან სესხებზე (patient recoverable capital), უკან დასაბრუნებელ გრანტებზე (repayable grants) და სხვ. აქვე ხაზგასმულია სხვადასხვა წყაროდან ფინანსების მოძიების აუცილებლობა, როგორებიც არიან: ინვესტორები, დონორები, ფონდები, საზოგადოებრივი წილი და სოციალური ინვესტიციის საგადასახადო შეღავათები (Community Share Issues and Social Investment Tax Relief), მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ტრადიციული ფორმები სესხის გარანტიების სქემის შექმნით და სხვ.;

2.2. ბიზნესის მხარდაჭერა: ეს მიმართულება გულისხმობს ქსელის შექმნას ბიზნესმრჩველებისა და პროფესიონალებისა, რომლებიც მზად არიან, სოციალურ საწარმოებს გაუწიონ დახმარება. უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური დახმარებაც სოციალური საწარმოების სტარტაპებისათვის. მთავრობა იღებს ვალდებულებას, რომ სერვისების მიწოდების სფეროში შესაბამისი პრიორიტეტული მხარდაჭერა ექნება სოციალურ და კოოპერატიულ საწარმოებს როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით სოციალურ საწარმოებს აღმოუჩენენ დახმარებას ახალი საერთაშორისო ბაზრების ათვისებაშიც;

2.3. თანამშრომლობა: ეს მოიცავს სოციალური საწარმოების ქსელის შექმნას, კოოპერატივისა და კონსორციუმის მოდელების განვითარებას, ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას;

2.4. ლიდერობის განვითარება: ეს მოიცავს სასწავლო პროგრამებს ლიდერობასა და მეწარმეობაზე, მომავალი სოციალური მეწარმე ლიდერების განვითარებას, პროგრესული მმართველობისა და კულტურის დანერგვას ორგანიზაციებში და საერთაშორისო ლიდერობის ამბიციების გაჩენას;

2.5. სამუშაო ძალის განვითარება: ეს მოიცავს სოციალური საწარმოების გადაქცევას კარიერული ზრდის ცენტრებად, მეწარმეობის უნარების განვითარებასაც ახალგაზრდებისათვის, სამართლიან დასაქმებას, რაც გულისხმობს დასაქმებულთა უფლებების დაცვას, თანასწორობისა და მრავალფეროვნების პრინციპების გათვალისწინებას, სოციალურ საწარმოებში სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანების დასაქმებასა და ინტეგრაციის ხელშეწყობას;

2.6. სოციალური ღირებულების დემონსტრირება: ეს მოიცავს სოციალური საწარმოების მიერ გავლენის შეფასებას ჰოლისტური მოდელის გამოყენებით, ყოველწლიური სოციალური ანგარიშგების დანერგვას (რომელიც თავსებადი იქნება შოტლანდიის ანგარიშგების ძირითად რეგულაციებთან) და სოციალური საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერებას.

მესამე პრიორიტეტი: ბაზრის შესაძლებლობების ათვისება

3.1. საჯარო ბაზარი: მოიცავს საჯარო სექტორის ჩართულობას ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე უფრო თანამშრომლობითი გარემოს ჩამოსაყალიბებლად, ე.წ. ერთობლივი მოქმედება (Collaborative Commissioning) - საჯარო ინსტიტუციებმა სოციალური საწარმოები აღიქვან, როგორც ნაწილი სერვისების გადახედვისა და გამოიყენონ საჯარო სოციალური პარტნიორობა და სხვა

მსგავსი მოდელები სერვისების ერთად შექმნისათვის; სოციალური შესყიდვები - სოციალური საწარმოებისათვის გაიხსნას ეს ბაზარი, შესყიდვების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს სოციალური საწარმოებისათვის დრო და სივრცე, ამასთანავე, საჯარო უწყებებმა რეზერვში იქონიონ კონტრაქტები, სადაც სოციალური ღირებულების მაქსიმალურად მიღწევას შესაძლებელი;

3.2. მომხმარებლების ბაზარი: მოიცავს სერტიფიკატის - „იყიდე სოციალური“ - დამზადებას, რაც გულისხმობს საერთაშორისო დონეზე აღიარებული მესამე მხარის მიერ სოციალური საწარმოების პროდუქციისა და სერვისებისათვის იარლიყის მინიჭებას, რასაც შემდგომში კამპანიური ხასიათი ექნება. სხვადასხვა პრომომასალისა და ღონისძიების გამოყენებით კამპანია შესაძლოა მოიცავდეს წახალისებასაც მუდმივად სოციალური საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის გაყიდვის უზრუნველსაყოფად;

3.3. ბიზნესბაზარი: მოიცავს ბიზნესსექტორსა და სოციალურ საწარმოებს შორის ეკონომიკური გაცვლის ხელშეწყობას, რომელიც შესაძლოა მოიაზრებდეს ონლაინ პლატფორმებს, რეგიონულ კონსორციუმებს, ადგილობრივი ვაჭრობის სისტემებსა და სხვ.; ამ ორ სექტორს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეწყობას, კორპორაციული მიწოდების ჯაჭვის შექმნას.

წარმატების გაზომვა

სტრატეგია იმასაც აღნიშნავს, რომ სამწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც თან სდევს აღნიშნულ დოკუმენტს, განსაზღვრავს საქმიანობის წარმატების გამზომველ ინდიკატორებსაც. მათი გამოყენებით მუდმივად შემოწმდება მიღწეული პროგრესი.

შეჯამებისათვის, ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია სოციალური მეწარმეობის აღიარების ხარისხი ევროკავშირის ქვეყნებში:⁸⁰

აღიარების ხარისხი	ქვეყნები
პოლიტიკურად და სამართლებრივად აღიარებულია - მაღალი ხარისხის აღიარება	ირლანდია, იტალია, დიდი ბრიტანეთი
სოციალური ეკონომიკის/სოციალური და სოლიდარობის ეკონომიკის კუთხით გამოწვევა	ბელგია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი
არც ისე ხშირად გამოყენებული - ნაკლები სივრცე, რომლის მიზეზია ტრადიციული კეთილდღეობის ინსტიტუტების არსებობა	ავსტრია, დანია, ფინეთი, გერმანია, ისლანდია, ჰოლანდია, ნორვეგია, შვედეთი
პოლიტიკურად და სამართლებრივად აღიარებული, მაგრამ ვიწრო გაგება (სამუშაო ინტეგრაცია) - ვიწრო თვითაღიარება	ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ფინეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სერბეთი, შვედეთი
გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება კორპორაციული სოციალური	კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ისლანდია, მონტენეგრო, ჰოლანდია, ნორვეგია,

⁸⁰Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, pg. 35

პასუხისმგებლობის, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციის კონცეფციებს	შვედეთი
მზარდი აღიარება	ალბანეთი, მალტა, ჩრდილოეთ მაკედონია, თურქეთი

3 კერძო აღიარება მარკების, იარლიყებისა და სერტიფიკატების მეშვეობით

სოციალური საწარმოებისათვის საჯაროს გარდა, მნიშვნელოვანია კერძო აღიარების სისტემაც. სხვადასხვა ქვეყანას აქვს სერტიფიცირების სქემები - სოციალური საწარმოებისათვის ერთგვარი მარკა - რაც ხელს უწყობს ამ საწარმოების პოპულარიზაციას. მაგალითად, ფინეთში ფინური ასოციაცია სოციალური საწარმოების მარკის პოპულარიზაციას ეწევა, რამაც ფინეთში უფრო მეტი წარმატება მოიტანა, ვიდრე - საკანონმდებლო დონეზე სტატუსის გაჩენამ. მსგავსი მარკა განკუთვნილია იმ ბიზნესისათვის, რომელიც სოციალურ ან ეკოლოგიურ პრობლემებზე მუშაობს და სოციალური მიზნები აქვს. ევროპულ ქვეყნებში გამოკვეთილი მეორე ტენდენცია გარე სერტიფიცირების სისტემაა, რომელსაც მართავს ბი ლებ ევროპა (B Lab Europe) და უკვე დიდი გამოხმაურება აქვს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, პოლონეთი, შვედეთი, თურქეთი და სხვ. გარდა ამისა, სხვა უამრავი მსგავსი პრაქტიკა უკვე გაჩნდა ეროვნულ დონეზე სხვადასხვა ქვეყანაში.⁸¹

ბულგარეთი - ბრენდი „სოციალური საწარმოს პროდუქტი“

ბულგარეთის სახელმწიფომ დანერგა ბრენდი „სოციალური საწარმოს პროდუქტი“ შესაბამისი პროცედურებითა და ლოგოთი, რომელიც ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ ეძლევა სხვადასხვა ბიზნესსუბიექტსა და ორგანიზაციას. აღნიშნული კომპანიები შემდგომ ამ ლოგოს იყენებენ საკუთარ პროდუქციაზე. ბრენდის დანერგვის მიზანი საზოგადოებისა და მომხმარებლების ყურადღების მიპყრობაა. ამ ბრენდის მატარებელი ორგანიზაციები მიჩნეულნი არიან საჯარო რესურსის მომხმარებლებად და, შესაბამისად, უნდა აწარმოონ სტატისტიკური ინფორმაცია შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე.⁸²

4 თვითაღიარება

მხოლოდ პოლიტიკური და საკანონმდებლო აღიარება არ არის საკმარისი სოციალური საწარმოების სრული პოტენციალის გამოსავლენად და ხელშესაწყობად. ევროპული ქვეყნების გამოცდილებამ ისიც აჩვენა, რომ უამრავი „დე ფაქტო“ სოციალური საწარმო ოპერირებს, რომლებიც საკუთარ თავს სოციალურ საწარმოდ არ აღიარებენ. შესაბამისად, თვითაღიარების ნაწილში სოციალური საწარმოები საკმაოდ მოისუსტებენ და ეს მიმართულება ქვეყნების მიხედვით ძალიან განსხვავებულ მაჩვენებელს იძლევა. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ, სადაც თავად სოციალური საწარმოები არიან აქტიურად ჩართული ადვოკატირებაში, მათი

⁸¹ Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

⁸² National Social Economy Concept, Ministry of Labour and Social Policy, Republic of Bulgaria, Sofia, 2011

კავშირები ძლიერია და თვითაღიარების ტენდენციაც მაღალია (მაგალითად, იტალია, საფრანგეთი). ამის საპირისპიროდ, ქვეყნები, სადაც რეფორმები და რეგულაციები ზემოდან ქვემოთ პრინციპით გატარდა, თვითაღიარების ტენდენცია სუსტია.

რესურსებზე ხელმისაწვდომობა

ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა სოციალური საწარმოებისათვის კრიტიკული მნიშვნელობის საკითხია. ფინანსური რესურსები საჭიროა სტარტაპებისა და თანამშრომლობითი პროექტების ხელშესაწყობად. ზოგადად, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა სოციალური მეწარმეობისათვის ბევრად კომპლექსური საკითხია, ვიდრე სხვა ბიზნესის შემთხვევაში, რადგან ისინი ორიენტირებულნი არიან პოზიტიური სოციალური შედეგების მიღწევაზე, მოგების რეინვესტირებაზე და ვერ ერგებიან იმ ტრადიციულ ინვესტორებს, რომლებიც ფინანსურ მოგებას ანიჭებენ ყველაზე დიდ მნიშვნელობას. იმავდროულად, სოციალური საწარმოების მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე ეს კომპლექსურობა კიდევ უფრო ღრმავდება. დამატებით, აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოები აწყდებიან სირთულეებს ფინანსურ ორგანიზაციებთან, ბანკებთან ურთიერთობისას, რადგან საბანკო სექტორს არ აქვს საკმარისი ცოდნა ამ საწარმოების სპეციფიკის შესახებ.

1.1 საჯარო გრანტები და სუბსიდიები

სოციალური საწარმოების მიმართ გაზრდილმა ინტერესმა სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში გააჩინა ახალი ინსტრუმენტები, პროექტები და ინსტიტუტები, რომელთა უმთავრეს მიზანს სოციალური საწარმოებისათვის საწყისი კაპიტალის შეთავაზება, სტარტაპების დახმარება და მათი კონსოლიდაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა. გარდა ამისა, სოციალური საწარმოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა მცირე და საშუალო ბიზნეს სტარტაპებისთვის შექმნილი მექანიზმებიც. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ტიპის ინსტრუმენტები თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში უკვე არსებობს, მათი ხარისხი, თანმიმდევრულობა, ეფექტურობა და მასშტაბი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. გრანტებისა და სუბსიდიების მექანიზმი ერთ-ერთია ამ შემუშავებულ ზომათაგან, რომელიც სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომია თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში.⁸³ თუმცა ქვეყნების პრაქტიკა განსხვავდება არა მხოლოდ საგრანტო სქემებისა და სუბსიდიების ინტენსიურობის მიხედვით, არამედ დახმარების ტიპის, მიზნობრიობის, ბენეფიციარი ორგანიზაციებისა და მართვის ზომების მიხედვითაც. სახელმწიფო დახმარების ძირითადი ტიპები მოიცავს საჯარო გრანტებს ახალი სოციალური საწარმოების დაფუძნებისათვის, სუბსიდიებს, საგადასახადო შეღავათებს იმ სოციალური საწარმოებისათვის, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფების დამსაქმებლები არიან. აქ იგულისხმება ინკუბატორებისა და ბიზნესინოვაციის ცენტრების სუბსიდირებაც, იდეების კონკურსები და სხვ.

⁸³ Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

ევროპული ქვეყნების პრაქტიკა განსხვავდება იმის მიხედვითაც, სოციალური საწარმოებისათვის რომელ დონეზეა უზრუნველყოფილი ეს დახმარება: ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, თუ სამივეზე ერთდროულად. ეროვნულ დონეზე არსებული პროგრამების მაგალითია ავსტრია და გერმანია. თუმცა ევროპული ქვეყნების გამოცდილების სინთეზურ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ გამოკითხული ქვეყნების უმრავლესობას სოციალური საწარმოებისა და სოციალური ინოვაციების განვითარებისათვის ადგილობრივ მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობა გადაწყვეტი მნიშვნელობის საკითხად მიაჩნია.

სახელმწიფო მხარდამჭერ მექანიზმებზე საუბრისას საგულისხმოა, ვახსენოთ ჩვენ მიერ ნაკვლევ ქვეყნების გამოცდილება. მაგალითად, ესტონეთში სამთავრობო სტრუქტურები სოციალური საწარმოების მხოლოდ მცირე რაოდენობას უზრუნველყოფს გრანტებით. ერთ-ერთ ასეთ აქტორს წარმოადგენს მთავრობის სააგენტო - ესტონეთის საწარმო სააგენტო (**Agency Enterprise Estonia**).⁸⁴ არსებობს ფონდიც (**Good Deed Foundation**),⁸⁵ რომელიც დაინტერესებულია ფინანსურად მდგრადი ინიციატივების ხელშეწყობით, თავისთავად ამ შესაძლებლობით სარგებლობა შეუძლიათ სოციალურ საწარმოებსაც, თუმცა GDF-ისთვის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს ეს მახასიათებელი.

ლატვიის შემთხვევაში განვითარების ფინანსური ინსტიტუტი (ALTUM)⁸⁶ აქტიურად თანამშრომლობს კეთილდღეობის სამინისტროსთან და არის მთავარი პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სოციალური საწარმოს ფინანსური დახმარების პროგრამას ევროპული სოციალური ფონდის სახსრების გამოყენებით. ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის - „მხარდაჭერა სოციალური მეწარმეობისათვის“ - ფარგლებში გაიცემა გრანტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, დაიწყონ ან გააფართოონ სოციალური საწარმო. მონაწილეობისა და სათანადო ფინანსური მხარდაჭერის მიღებისათვის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ სოციალური საწარმოს სტატუსის ქონა და სოციალური საწარმოების რეესტრში რეგისტრაცია. ამ პროგრამის ფარგლებში 12 მილიონი ევროა ხელმისაწვდომი 2022 წლამდე.

ამასთან, ლატვიაში (ისევე, როგორც ესტონეთში) არსებობს სოციალური მეწარმეობის ინკუბატორი - „**Reach for Change**“.⁸⁷ მნიშვნელოვანია ის დეტალიც, რომ ორგანიზაცია განსაკუთრებით მხარს უჭერს იმ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით მუშაობენ. ამ შემთხვევაში Reach for Change-ის პრიორიტეტებს შორისაა ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესება.

1.2 საჯარო სექტორი და საჯარო შესყიდვები

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფოები ნაბიჯ-ნაბიჯ გადადიან საჯარო გრანტებისა და კონტრაქტების გაცემის პრაქტიკიდან უფრო თანაბარი კონკურენციის პრინციპებზე ორგანიზაციებს შორის, რაც გამოწვეულია სოციალური სერვისების ხარჯთეფექტურობითა და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ახალი რეგულაციებით. შედეგად,

⁸⁴ Enterprise Estonia, available at: <https://www.eas.ee/eas/?lang=en>

⁸⁵ Good Deed Foundation, available at: <https://www.heategu.ee/>

⁸⁶ ALTUM, available at: <https://www.altum.lv/en>

⁸⁷ Reach for Change, available at: <https://reachforchange.org/en/impact>

საჯარო შესყიდვების პროცედურები უფრო ღია, გამჭვირვალე და კონკურენტული ბუნების ხდება.⁸⁸ საჯარო შესყიდვები მიჩნეულია, როგორც სოციალური საწარმოებისათვის ახალი ბაზრის გახსნის მნიშვნელოვანი გასაღები. თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ახალი რეგულაციების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან განსხვავებული ინტერპრეტაციებით მოხდა, რამაც ეს ახალი შესაძლებლობა სოციალური საწარმოებისათვის ბევრ ქვეყანაში ნათლად ვერ გამოავლინა. მაგალითად, როდესაც საჯარო შესყიდვები ცხადდება და გამარჯვების ძირითადი კრიტერიუმი მინიმალური ღირებულების დაწესებაა, ამან შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს სერვისების ხარისხიან მიწოდებაზე. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების დაკვირვებითაც, ადგილი აქვს სოციალური საწარმოების ბუნების ცვლილებას მსგავს ვითარებაში და ისინი ხშირად უარს ამბობენ საკუთარ ინოვაციურობაზე, რათა შესყიდვების წესებს მოერგონ. ეს გავლენას ახდენს მათ უმთავრეს ხასიათზეც, ადვოკატირება გაუწიონ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებსა და ინტერესებს. სოციალური სერვისების ხარისხისა და ინოვაციურობის ხელშეწყობისათვის სხვადასხვა ქვეყანამ შესყიდვების პოლიტიკის დეცენტრალიზაცია მიიჩნია უკეთეს გამოსავლად.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია კვლავ ესტონეთის მაგალითი მოვიყვანოთ, სადაც სოციალურ საწარმოებთან დაკავშირებით არსებულ მნიშვნელოვან დოკუმენტებს შორის არის სახელმწიფო **შესყიდვების აქტი**,⁸⁹ რომელიც მიიღეს 2017 წელს. ეს დოკუმენტი სოციალური საწარმოებისათვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ტენდერების პროცესში. უფრო კონკრეტულად, შესყიდვების აქტის მიხედვით, სატენდერო დოკუმენტებს ემატება ახალი მოთხოვნა სოციალური ღირებულების შესახებ. აღნიშნულზე სოციალური კრიტერიუმის დამატების შედეგია ის, რომ ზოგიერთ ტენდერში მოთხოვნების მიხედვით მხოლოდ სოციალურ საწარმოებს ეძლევათ მასში მონაწილეობის უფლება.

კვლევა, განათლება და უნარების განვითარება

კვლევა, განათლება და უნარების განვითარება სოციალური საწარმოების აღიარებისა და ინსტიტუციონალიზაციისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, განსაკუთრებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის. ამ მიმართულებით არსებული გამოცდილება ძალიან იმედისმომცემია, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება სხვადასხვა აქტორს შორის ურთიერთთანამშრომლობა და სოციალური მეწარმეობის განზომილების შეტანა სამეწარმეო განათლებაში.

1.2 სოციალური საწარმოების შესახებ განათლებისა და ტრენინგების კონსოლიდაცია

ამ მიმართულებით ესტონური გამოცდილება, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი წამყვანია, რადგან უამრავი ინიციატივა და პოლიტიკა არსებობს, რომლებიც სოციალური მეწარმეობის განათლებას ეხება. მაგალითად, ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეწარმეო პროგრამა - **Edu&Tegu** (2016-2020). ეს პროგრამა მიზნად ისახავს სკოლებში სამეწარმეო აზროვნებისა და მეწარმეობის განვითარებასა და გაძლიერებას ყველა დონეზე. პროგრამის ფარგლებში არსებობს სამეწარმეო განათლების პროგრამა პროფესიული სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის. მისი ერთ-ერთი მოდული კონკრეტულად ეხება სოციალურ მეწარმეობას. ამასთან, ტალინის

⁸⁸ Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

⁸⁹ Public Procurement Act, Estonia, available at: <https://www.riigiteataja.ee/en/eli/505092017003/consolide>

უნივერსიტეტს აქვს სოციალური მეწარმეობის სპეციალური სამაგისტრო პროგრამა, რომელიც 2018 წლიდან დაიწყო. ეს პროგრამა იყენებს პროექტებზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკასა და ხელს უწყობს სტუდენტებს, დააარსონ საკუთარი სოციალური საწარმოები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტალინის უნივერსიტეტთან ერთად სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტი ახორციელებს სამეწარმეო ბიზნესის განვითარების პროგრამას - **STARTER**. პროგრამა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი იდეები აქციონ საზოგადოებისათვის სიკეთის მომტან ბიზნესმოდელებად. კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამა არის „**სამეწარმეო სკოლა**“, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს სკოლის მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარებას. ამასთან ერთად, არსებობს საინფორმაციო პორტალი **Teeviit**,⁹⁰ რომელიც თავს უყრის და აერთიანებს ინფორმაციას კარიერული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდა სოციალური მეწარმეებისათვის. ეს პორტალი ესტონეთის სოციალური საწარმოების ქსელისა (ESEN) და ესტონეთის ახალგაზრდული მუშაობის ცენტრის თანამშრომლობის პროდუქტია.

ESEN-ი ახდენს **სოციალური საწარმოს კონცეფციის** ადვოკატირებას და აქტიურად უჭერს მხარს ყველა სხვა ინიციატივასა და პროექტს, რომლებიც სოციალური საწარმოების საარსებო გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება; ამასთანავე, ნერგავს სხვადასხვა ინოვაციურ და საინტერესო პრაქტიკასა და მეთოდს ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე ის აქტიურად მუშაობს ახალგაზრდა სოციალური მეწარმეების მხარდაჭერი არაფორმალური სტრატეგიის დანერგვაში, ამ პროცესში ის აქტიურად თანამშრომლობს ესტონეთის ახალგაზრდული სამუშაოს ცენტრსა და ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან. მათ ერთ-ერთ ახალგაზრდულ პროგრამას წარმოადგენს **Changemakers Academy**. აღნიშნული გულისხმობს უფროსკლასელი სკოლის მოსწავლეებისათვის პრაქტიკაში სწავლების (learning-by-doing approach) ინტენსიურ პროგრამას, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს, შექმნან მარკეტინგული გადაწყვეტები ადგილობრივი და სათემო სოციალური საწარმოებისათვის.

ესტონეთში სტარტაპები საკმაოდ აქტუალურია. მართალია, ჰაკათონები და განვითარების პროგრამები შეიძლება ყოველთვის სოციალურ საწარმოებზე არ იყოს გათვლილი, თუმცა ზოგიერთი პროგრამა, სწორედ რომ, სოციალურ საწარმოებზეა ფოკუსირებული. სწორედ ასეთია ზემოხსენებული **Changemakers Academy**, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებს, მენტორებთან ერთად შეიმუშაონ და გარდაქმნან საკუთარი იდეები სოციალურ საწარმოდ. ესტონეთში არსებობს **PESA-ც**, ონლაინსაწარმოთა განვითარების პროგრამა, რომელიც ღიაა სოციალური საწარმოებისათვის.

ხორვატიაში 2012 წლიდან ზაგრების უნივერსიტეტი ახალგაზრდებს სთავაზობს სრულ სალექციო კურსს „სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაცია“. 2017-2018 წლებში სოციალური სამუშაოს სწავლების ცენტრი ახალგაზრდებს სთავაზობს საბაკალავრო პროგრამას „სოციალური ეკონომიკა და სოციალური მეწარმეობა“. აღსანიშნავია რომ, ესტონეთისგან განსხვავებით, ხორვატიაში სოციალური მეწარმეობა ძირითადად ინტეგრირებულია სხვადასხვა ფაკულტეტის სალექციო კურსებში. ისიც კონკრეტულ მახასიათებელს წარმოადგენს ამ შემთხვევაში, რომ

⁹⁰ available at: <https://www.teeviit.ee/>

საზოგადოებრივი ადგილობრივი ორგანიზაციები სოციალური მეწარმეობის განვითარებას ხელს უწყობენ ძირითადად საგანმანათლებლო აქტივობებით.

ლატვიაში არსებობს სოციალური ინოვაციების ცენტრი,⁹¹ რომელიც სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კვლევასა და პროექტს ახორციელებს.

ლატვიაში ოპერირებს აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი დამოუკიდებელი საკონსულტაციო ჯგუფიც - CIVITTA Latvia.⁹² ორგანიზაციის აქტივობებს შორის არის შემდეგი:

- სოციალური საწარმოების სათანადო განათლებით უზრუნველყოფა;
- სოციალური საწარმოების მხარდაჭერა და დახმარება მათთვის სათანადო ფინანსური ინსტრუმენტებისა და გრანტების შერჩევის პროცესში, რათა წარმატებით შეძლონ სოციალური საწარმოს განვითარება და ა.შ.

1.2 უნარების განვითარება

სოციალური საწარმოებისთვის განათლებისა და უნარების განვითარების მიმართულებით ევროპულ ქვეყნებში, ფორმალური ინსტიტუტების გარდა, ხელმისაწვდომია არაფორმალური პროგრამებიც. მაგალითად, სლოვენიაში რეგიონული განვითარების სააგენტოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ კუთხით. სლოვაკეთში განვითარდა კონკრეტული რეგიონული სტრუქტურა, რომელიც სოციალური საწარმოების განვითარებაზე მუშაობს. ეს პროგრამები, თეორიული ცოდნის გადაცემის გარდა, ხაზს უსვამს ისეთი სპეციალური უნარ-ჩვევებისა და თანამშრომლობის (ქსელების) განვითარების აუცილებლობას სოციალური მეწარმეებისა და მენეჯერებისათვის, როგორებიცაა: ბიზნესისა და ორგანიზაციული განვითარება, კომუნიკაცია და ლიდერობის უნარ-ჩვევები და ა.შ. სხვადასხვა ტრენინგპროგრამას ხშირად თან სდევს შესაბამისი კონკურსებიცა და ჯილდოებიც სოციალური საწარმოებისათვის. მსგავსი კონკურსები ნაწილობრივ მოიაზრებს ფინანსურ მხარდაჭერასაც, შესაძლო დონორებთან დაკავშირებასაც, ბიზნესგეგმის განვითარებასაც და ა.შ.⁹³

მაგალითად, ლატვიაში ორგანიზაცია ZINIS⁹⁴ სოციალურ საწარმოებს აქტიურად სთავაზობს პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიმართულებით ტრენინგებს და უზრუნველყოფს მათთვის ბიზნესმოდელის შექმნასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს. თუმცა, მიუხედავად არსებული მხარდაჭერი ორგანიზაციებისა და შესაძლებლობებისა, ლატვიაში არ არსებობს ორგანიზებული და სისტემური მიდგომა, თუ როგორ უნდა მოიზიდონ, შექმნან და სათანადო განათლებით უზრუნველყონ ე.წ სოციალური გავლენის ინვესტორები, რომლებიც მზად იქნებიან, ჩადონ საკუთარი რესურსის ინვესტიცია სოციალურ საწარმოებში. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ, ძირითადად, სექტორი ეფუძნება პირად ინიციატივებსა და კონტაქტებს.

⁹¹ Social Innovation Centre, Latvia, December, 2018, available at:

http://www.ensie.sk/documents/presentation/04/2018-12-05_social_innovation_centre_latvia.pdf

⁹² Civitta, available at: <https://civitta.com/company>

⁹³ Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

⁹⁴ Association ZINIS, available at: <http://www.zinis.lv/par-mums/>

ბიბლიოგრაფია

- A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Czech Republic, European Commission.
- Boosting Social Enterprise Development, Good Practice Compendium, OECD, available at: <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264268500-7-en.pdf?expires=1587906190&id=id&accname=guest&checksum=F947E592C8C34C9FD732F0C84B0D29C1>
- Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ECNL, June 2019. Available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2019/08/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>
- Building a New Economy: Scotland's Vision for Social Enterprise 2025, available at: <https://senscot.net/>
- Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, ECNL, 2015, available at: <http://ecnl.org/wp-content/uploads/2015/10/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>
- Estonian Civil Society Development Plan 2015-2020, available at: https://www.siseministeerium.ee/sites/default/files/elfinder/article_files/estonian_cs_dev_plan_2015-2020_extract.pdf
- Estonian Entrepreneurship Growth Strategy 2014-2020, September, 2013, available at: https://kasvustrategie.mkm.ee/index_eng.html
- Estonian Social Enterprise Network, available at: <http://www.socialenterprisebsr.net/social-enterprises-support-organisations/estonian-social-enterprise-network/>
- Europe 2020, A European Strategy for smart, sustainable and inclusive growth, Brussels, 2010
- European Center for Not-for-Profit Law: Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, 2015, available at: http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf
- Impact Assessment of the Civil Society Development Plan, June, 2019, available at: [https://www.riigikantselei.ee/sites/default/files/content-editors/uuringud/impact assessment of the civil society development plan summary.pdf](https://www.riigikantselei.ee/sites/default/files/content-editors/uuringud/impact%20assessment%20of%20the%20civil%20society%20development%20plan%20summary.pdf)
- LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September, 2012, available at: http://ecnl.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf
- National Development Plan of Latvia for 2010-2020, December, 2012, available at: https://www.pkc.gov.lv/images/NAP2020%20dokumenti/NDP2020_English_Final.pdf
- National Programme for Social Economy Development, Briefer, available at: <http://www.klon.org.pl/x/1627367>
- National Programme for Social Economy Development, Republic of Poland, Warsaw, 2014

- National Reform Programme Strategy Europe 2020, Update 2014/2015 (KPR 2014/2015), Adopted by the Council of Ministers on 22 April
- National Social Economy Concept, Ministry of Labour and Social Policy, Republic of Bulgaria, Sofia, 2011
- Public Procurement Act, Estonia, available at: <https://www.riigiteataja.ee/en/eli/505092017003/consolide>
- Scotland's Vision for Social Enterprise 2025, Summary Document, available at: <https://socialenterprise.scot/cms/wp-content/uploads/2019/05/80afcd239.pdf>
- Scotland's Social Enterprise Strategy 2016-26, Scottish Government, 2016
- Social Economy, Study for the IMCO Committee, Europarlament, 2015, available at: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/578969/IPOL_STU\(2016\)578969_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/578969/IPOL_STU(2016)578969_EN.pdf)
- Social Enterprise in Scotland: Census 2015, available at: <https://socialenterprisecensus.org.uk/wp-content/themes/census19/pdf/2015-summary.pdf>
- Social Enterprise Law, Latvia, available at: <https://likumi.lv/ta/en/en/id/294484-social-enterprise-law>
- Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020
- Social Enterprises and their Ecosystems in Europe: Country Report Estonia, 2019, available at: <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/7eb04945-c3c0-11e9-9d01-01aa75ed71a1/language-en/format-PDF>
- Social Enterprises and their Ecosystems, Country Report Latvia, Lasma Licite, September, 2018.
- Social Enterprises and their Eco-systems: A European Mapping Report, Updated Country Report: Slovakia, 2016, available at: <https://aeidl.eu/docs/bsi/index.php/country/34-ec-se-country-report-sk/file>
- Social Entrepreneurship in Latvia: A brief overview of the current situation, Social Entrepreneurship Association of Latvia, 2018, available at: https://sua.lv/wp-content/uploads/2019/04/LSUA_report_2-ENG.pdf
- Social Entrepreneurship Law in Slovenia, Varna, June, 2018, available at: https://www.easped.eu/sites/default/files/sites/default/files/EVENTS/2018/6-varna_social_entrepreneurship_law_slovenia.pdf
- Social Entrepreneurship: Case of Slovenia, Nina Tomažević and Aleksander Aristovnik Ljubljana, October 2018, available at: https://zavod14.si/wp-content/uploads/2018/10/Social-Entrepreneurship_Case-of-Slovenia.pdf
- Social Innovation Centre, Latvia, December, 2018, available at: http://www.ensie.sk/documents/presentation/04/2018-12-05_social_innovation_centre_latvia.pdf
- Strategic Framework for Social Entrepreneurship Development in Bulgaria, Venelin Terziev and Nikolay Nichev

- Support for Young Social Entrepreneurs, The Changemakers Academy, Estonia, available at: <http://www.socialenterprisebsr.net/2018/09/support-for-young-social-entrepreneurs-the-changemakers-academy-in-estonia/>
- Sustainable Development Strategy of Latvia until 2030, Republic of Latvia, June, 2010, available at: https://www.pkc.gov.lv/sites/default/files/inline-files/LIAS_2030_en_1.pdf
- Voluntary Code of Practice of Social Enterprise in Scotland, available at: <https://www.se-code.net/the-code/the-criteria/>

სოციალური მენარმეობა,
სოციალური საწარმოები და მათი ეკონომიკა

ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა
სამაგიდო კვლევის ანგარიში



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ©
თბილისი 2020

